

**დე ფაქტო ქვეყნების უჩვეულო გამძლეობა
აფხაზეთი, დნესტრისპირეთი, ჩრდილოეთ კვიპროსი**

თომას დე ვაალის სტატიების მიმოხილვა

სოციალური სამართლიანობის ცენტრი

თბილისი, 2021

მიმოხილვა მომზადდა ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის თბილისის ოფისის მიერ მხარდაჭერილი პროექტის ფარგლებში „სამშვიდობო პოლიტიკის პოზიტიური ტრანსფორმაცია კვლევისა და ადვოკატირების გზით“. მიმოხილვაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის მხოლოდ ავტორს და, შესაძლოა, არ გამოხატავდეს ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის თბილისის ოფისის შეხედულებებს.

მიმოხილვის ავტორი: კონსტანტინე ჩაჩიბაია

ხელმძღვანელი: თამთა მიქელაძე

რედაქტორი: ნინო ხიდიშელი

დიზაინი: სალომე ლაცაბიძე

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალის გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, ორგანიზაციის წერილობითი ნებართვის გარეშე.

© სოციალური სამართლიანობის ცენტრი

მისამართი: ი. აბაშიძის 12ბ, თბილისი, საქართველო

ტელ: +995 032 2 23 37 06

<https://socialjustice.org.ge/>

info@socialjustice.org.ge

<https://www.facebook.com/socialjustice.org.ge>

ცნობილი ბრიტანელი ჟურნალისტი და მკვლევარი თომას დე ვაალი პუბლიკაციაში „გაურკვეველი საფუძვლები“ (Uncertain Grounds) ცდილობს, შეისწავლოს უჩვეულო გამძლეობით გამორჩეულ დე ფაქტო სახელმწიფოებს შორის არსებული განსხვავებები და მსგავსებები. ამ ტერიტორიებზე წარმოშობილი კონფლიქტების დინამიკის განხილვის ფონზე, დე ვაალი მსჯელობს კონფლიქტების მოგვარებაში ევროკავშირის ჩართულობაზე, ანალიზებს ამ ჩართულობის პროცესში დაშვებულ შეცდომებს და მომავლის შესაძლებლობებს.

დე ვაალის ტექსტის მოკლე მიმოხილვის მომზადების მიზანია, კონფლიქტების გეოპოლიტიკურ წახნაგებთან ერთად, ქართველ მკითხველს გავაცნოთ აფხაზეთში, დნესტრისპირეთში და ჩრდილოეთ კვიპროსში საზოგადოებების განწყობები, კონფლიქტის ტრანსფორმაციის სხვადასხვა გამოცდილება და საერთაშორისო ჩართულობის განსხვავებული მოდელები.

თომას დე ვაალი „კარნეგი ევროპის“ წამყვანი მკვლევარია და აღმოსავლეთ ევროპასა და კავკასიის რეგიონს შეისწავლის. მას კავკასიასთან, შავი ზღვის რეგიონსა და რუსეთთან ხანგრძლივი ჟურნალისტური და სამწერლო საქმიანობა აკავშირებს და იგი ამ რეგიონების შესახებ დაწერილი არაერთი წიგნის ავტორია.

დე ვაალის ზემოხსენებული პუბლიკაციის სრული ვერსია ინგლისურ ენაზე შეგიძლიათ იხილოთ [აქ](#). პუბლიკაციის შესავალი ნაწილი და აფხაზეთის შესახებ თავის სრული თარგმანი ქართულ ენაზე კი ხელმისაწვდომია [აქ](#). ქვემოთ მოცემული ტექსტი წარმოადგენს დე ვაალის პუბლიკაციიდან აფხაზეთის, დნესტრისპირეთის და ჩრდილოეთ კვიპროსის შესახებ თავების შემოკლებულ მიმოხილვას.

დე ფაქტო ქვეყნების უჩვეულო გამძლეობა

აფხაზეთი: სტაბილური იზოლაცია

აფხაზეთი დე ფაქტო სახელმწიფოა, რომელსაც ახასიათებს გარკვეული სტაბილურობა და დაშლის პირას ნამდვილად არ დგას. მიუხედავად ამისა, იგი საერთაშორისო დონეზე იზოლირებულია და დანარჩენ მსოფლიოსთან კავშირს მხოლოდ რუსეთის მეშვეობით ამყარებს. დღევანდელი აფხაზეთი ძალიან განსხვავდება 10 წლის წინანდელი ომისგან აოხრებული ადგილისგან; აღდგენილია სამთავრობო შენობები, სასტუმროები და გზები. დედაქალაქ სოხუმში ნახავთ ლამაზად მოწყობილ მაღაზიებს, კაფეებს და ფეხით მოსიარულეთა გადასასვლელებს. აფხაზეთი მრავალი თვალსაზრისით ტოვებს ფუნქციონირებადი ქვეყნის შთაბეჭდილებას.

მატერიალური გაუმჯობესება აქ რუსეთის წყალობით მოხდა, რომელმაც აფხაზეთის დამოუკიდებლობა 2008 წელს აღიარა და მის ტერიტორიაზე განათავსა 4 000 ჯარისკაცი. რუსეთი ასევე ფარავს ბიუჯეტის 2/3-ს და უზრუნველყოფს აფხაზეთისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ტურისტულ შემოსავალს. გაბატონებული რუსეთის სიმბოლოა საელჩოს ახალი უზარმაზარი შენობა სოხუმის ცენტრში, რომელიც გაცილებით დიდია, ვიდრე პრეზიდენტის რეზიდენცია. მიუხედავად ამისა, აფხაზეთურ ელიტას არ სურს რუსეთთან შეერთება და მისი მხრიდან უფრო და უფრო მეტი კონტროლის მოპოვების მცდელობებს იგერიებს. ბევრ აფხაზს უიმედოდ, მაგრამ მაინც სურს ევროპის ნაწილად იქცეს. საქართველოსთან გაერთიანება კი არავის სურს. ეს გაერთიანება მართლაც საკმაოდ რთულად წარმოსადგენია, ყოველ შემთხვევაში

განჭვრეტად მომავალში. მსოფლიო აღიარებს საქართველოს იურისდიქციას აფხაზეთზე, მაგრამ უკვე 25 წელზე მეტია აფხაზეთი საქართველოსგან დამოუკიდებლად ცხოვრობს. ქართველები და აფხაზები უფრო და უფრო შორდებიან ერთმანეთს.

აფხაზეთმა რუსეთის მხრიდან აღიარება მოიპოვა ფართო საერთაშორისო იზოლაციის და რუსეთთან დე ფაქტო ინტეგრაციის სანაცვლოდ. თბილისმა წარმატებით გაატარა აფხაზეთის სრული იზოლაციის პოლიტიკა 1992-1993 წლებიდან მოყოლებული, მაგრამ 2008 წელს მიღებული ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ კანონით უკვე პრაქტიკულად სრულად შეზღუდა აფხაზეთში საერთაშორისო მიმოსვლა. აფხაზეთმა თავადაც ხელი შეუწყო თვითიზოლაციას იმით, რომ დნესტრისპირეთისგან განსხვავებით, ნაკლები მოქნილობა გამოამჟღავნა სტატუსთან დაკავშირებით დავაში.

გარემოსდაცვითი და კულტურული თანამშრომლობაც კი რთულია აფხაზეთის სტატუსზე დავის გამო. მაგალითად, 2013 წელს აფხაზი ბავშვების ცეკვის ანსამბლმა ვერ მიიღო მონაწილეობა ბავშვთა საერთაშორისო ფესტივალში თურქეთში. დასს მონაწილეობა უნდა მიეღო „აფხაზეთის რესპუბლიკის“ სახელით, მაგრამ საქართველოს ხელისუფლების ჩარევის შემდეგ, სახელი ჩანაცვლდა როგორც „საქართველოში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა“. აფხაზური მხარე ამას შეეწინააღმდეგა და საბოლოოდ ბავშვები საერთოდ ვერ წარსდგნენ ფესტივალზე.

აფხაზეთის იზოლაციით მოგებული არავინაა. მათ შორის ალბათ არც რუსეთი, რომელიც ფულად და დიპლომატიურ საფასურს იხდის ამ ტერიტორიაზე საკუთარი პოზიციების შესანარჩუნებლად. უკეთესი ჩართულობის აუცილებლობა, როგორც საქართველოს, ასევე საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან აშკარაა. შეცვლილმა ვითარებამ უნდა გააუმჯობესოს ერთი მხრივ აფხაზეთში მცხოვრები მოსახლეობის (მათ შორის ქართველი უმცირესობის) მდგომარეობა, ასევე უნდა შექმნას ახალი შესაძლებლობები საკითხის სამართლებრივი გადაჭრისთვის.

აფხაზეთი, რუსეთი და ევროპა

აფხაზეთის ელიტა რუსეთის მიმართ ამბივალენტურადაა განწყობილი. დნესტრისპირეთის და ჩრდილოეთ კვიპროსის მსგავსად, მფარველი ქვეყნის მიმართ ერთდროულად მეგობრული და მტრული დამოკიდებულებაა. ადგილობრივი ლიდერები აქებენ „დიდ ძმას“ მოსკოვში და ამასთანავე ფაქიზად ცდილობენ, შეინარჩუნონ მასთან დისტანცია. აფხაზეთში არის „ოსეტიზაციის“ შიში, რაც გულისხმობს დე ფაქტო სამხრეთ ოსეთის რუსეთთან მიერთების მსგავსი მოვლენის თავიდან აცილების სურვილს. მოსკოვის მიერ შეთავაზებულ „ინტეგრაციის შეთანხმებებს“, რომელიც უშიშროების ძალების და საზღვრების კონტროლს ანიჭებდა რუსეთს, სამხრეთ ოსეთი დათანხმდა, მაგრამ აფხაზეთი შეეწინააღმდეგა შეთანხმების თავდაპირველ ვერსიას. მეორე ვერსიამ, რომელსაც ეწოდა „სამოკავშირეო ურთიერთობები და სტრატეგიული პარტნიორობა“, ბევრი კომპეტენცია დაუტოვა აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებას. ყოველ შემთხვევაში, ფურცელზე მაინც.

ერთი მნიშვნელოვანი პუნქტი, რომელიც შეთანხმებიდან ამოიღეს, რუსების მიერ აფხაზეთის მოქალაქეობის სწრაფ მიღებას უკავშირდებოდა, რაც რუსებს მისცემდა აფხაზეთში უძრავი ქონების შეძენის უფლებას. ეს ამჟამად მხოლოდ აფხაზეთის მოქალაქეებისთვის არის ნებადართული. აფხაზების შიში იმაში მდგომარეობს, რომ თუ რუსებს მისცემენ ქონების შეძენის შესაძლებლობას, მალე მთელი აფხაზეთი სამართლებრივად რუსეთის საკუთრება

გახდება. აფხაზეთის საკითხზე კრემლის მთავარი სტრატეგის და 2014 წლის შეთანხმების ტექსტის ავტორის ვლადიმერ სურკოვის გამოქონილი იმეილებიდან ირკვევა, რომ სწორედ საკუთრების საკითხი იყო მოსკოვისთვის უმთავრესი. ასევე გამჟღავნდა, მოსკოვი იმედგაცრუებული იყო იმასთან დაკავშირებით, რომ ვერ აკონტროლებდა აფხაზ ელიტას და მსჯელობდა როგორ მოესყიდათ, ან მოეპოვებინათ მათი კეთილგანწყობა.

აფხაზურ ელიტაში ბევრმა დაამყარა არარეალური იმედები საქართველოს გარეშე ევროპასთან თანამშრომლობის თაობაზე. 2006 წლის მარტის ინტერვიუში სერგეი ბაღაფში აცხადებდა: „ჩვენ მივისწრაფით ევროპისკენ. ჩვენ გვინდა ცხოვრება ევროპულ ოჯახში. ჩვენ გვსურს ევროპასთან ღია დიალოგი“. მაშინ ევროკავშირი ცდილობდა, უფრო აქტიური ყოფილიყო აფხაზეთში. არსებობდა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული არაერთი პროექტი. თბილისში მყოფი ევროპელი ელჩები მუდმივად ჩადიოდნენ აფხაზეთში; იგეგმებოდა ევროკავშირის საინფორმაციო ცენტრის გახსნა სოხუმში, თუმცა 2008 წლის ომმა აფხაზეთის ევროპულ მისწრაფებას ბოლო მოუღო და მდინარე ენგური გეოპოლიტიკურ საზღვრად აქცია. ქართულ-აფხაზური დიალოგის ფორმატები შეჩერდა ან შეწყდა. გაეროს სადამკვირვებლო მისია საქართველოსა და რუსეთს შორის ამ მისიის სტატუსის, ასევე სახელის შეუთანხმებლობის გამო დაიხურა. აფხაზები და რუსები არ უშვებდნენ ევროკავშირის ომის შემდგომი მონიტორინგის მისიას აფხაზეთის ტერიტორიაზე. საქართველომ შეცვალა ტერმინოლოგია და აფხაზეთს და ოსეთს უწოდა „ოკუპირებული ტერიტორიები“, რამაც მოლაპარაკების პროცესში აფხაზების აგენტობა შეამცირა.

ევროკავშირმა და აშშ-მ თბილისს დიდი მხარდაჭრა გამოუცხადეს და მრავალმილიარდიანი დახმარების პროგრამაც გამოუყვეს 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგების აღმოსაფხვრელად. მათ ასევე მხარი დაუჭირეს საქართველოს მიერ წარმოებულ საკმაოდ ძლიერ, ამავე დროს, წარმატებულ კამპანიას, რუსეთის მიერ სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის აღიარების წინააღმდეგ. აღსანიშნავია, რომ რუსეთის უახლოესმა მოკავშირემ, ბელარუსმა ლიდერმა, ალექსანდრ ლუკაშენკომ, ბრიუსელის ლობირების შედეგად უარი თქვა ამ ორი ტერიტორიის დამოუკიდებლობის აღიარებაზე. 2018 წლისთვის აფხაზეთი და ოსეთი აღიარეს მხოლოდ რეგიონში გავლენების არმქონე რუსეთის მოკავშირეებმა (ნიკარაგუა, ვენესუელა, სირია) და წყნარი ოკეანის პატარა კუნძულმა (ნაურუ). ამ უკანასკნელს, როგორც ცნობილია, აღიარებისთვის ყველაზე მეტი გადაუხადეს.

სამხრეთ კავკასიაში ევროკავშირის სპეციალურმა წარმომადგენელმა პიტერ სემნებმა გააგრძელა კონფლიქტამდელი პოლიტიკა, თუმცა ბევრად არახელსაყრელ პირობებში. ბრიუსელსა და ევროკავშირის დედაქალაქებში გაჭიანურებული მოლაპარაკებები 2009 წელს, პოლიტიკის და უსაფრთხოების კომიტეტის (PSC) მიერ, ევროკავშირის მხრიდან აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის არაღიარებისა და ჩართულობის პოლიტიკის დოკუმენტის (NREP) მხარდაჭერით დასრულდა.

ეს შეთანხმება ეყრდნობოდა 2 სვეტს: როგორც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერას ევროკავშირის მხრიდან, ასევე აფხაზეთში გაზრდილ ჩართულობას (პოლიტიკა მოიცავდა სამხრეთ ოსეთსაც, თუმცა ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლებამ 2008 წლის ომის შემდეგ უარი თქვა ევროპის ჩართულობაზე). ეს დოკუმენტი ოფიციალურად არასდროს გამოქვეყნებულა. იმის მიუხედავად, რომ ევროკავშირის პოლიტიკა საქართველოსთან მიმართებაში ერთიანი იყო, ამ დოკუმენტის გამოუქვეყნებლობამ შექმნა ინტერპრეტაციების და განსხვავებული მიდგომების შესაძლებლობა. ზემოხსენებული საჯარო დოკუმენტის და ინსტიტუციური მეხსიერების არარსებობის გამო, ზოგიერთი ქართველი თანამდებობის პირი ამ

ტექსტზე, როგორც ისტორიულ საბუთზე, ისე საუბრობს და არა აფხაზეთში ევროკავშირის მოქმედების სახელმძღვანელო დოკუმენტზე.

აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის მიმართ ევროკავშირის არაღიარების და ჩართულობის პოლიტიკის შესახებ ერთადერთი ანალიტიკური სტატია, რომელმაც სემნების და მისი გუნდის მოწონება დაიმსახურა, 2010 წელს საბინა ფიშერმა გამოაქვეყნა. ფიშერის სტატია ამბიციურ მიზნებს ისახავს, აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის „დეიზოლაციის და ტრანსფორმაციისთვის“.

სტატია არაერთ რეკომენდაციას მოიცავს, მათ შორის:

- სამოქალაქო ორგანიზაციების აქტიურ ჩართულობას;
- აფხაზეთში ევროკავშირის საინფორმაციო ოფისის გახსნის გეგმის სისრულეში მოყვანას;
- ვიზების გაცემის სწრაფი პოლიტიკის შემოღებით აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის მაცხოვრებლებისთვის მოგზაურობის შესაძლებლობების მინიჭებას;
- სხვადასხვა პროექტით, მათ შორის, აფხაზეთის და დასავლეთ საქართველოს დამაკავშირებელი რკინიგზის რეკონსტრუქციის მხარდაჭერით, კონფლიქტურ ზონებში ეკონომიკური ურთიერთობის წახალისებას;
- ევროკავშირის ქვეყნებში აფხაზეთისთვის უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლობების შექმნას;
- პოლიტიკური მსჯელობის წამოწყებას ევროკავშირთან დაახლოების პროცესში ამ ორი სუბიექტის ჩასართავად.

ამ გეგმებიდან, დაახლოებით 10 წლის შემდეგ, ძალიან ცოტა რამაა მიღწეული. ევროკავშირმა აფხაზეთში სამოქმედოდ თითქმის ყველაწიერი ბერკეტი დაკარგა. მისი სპეციალური წარმომადგენლები, რომლებიც ასევე ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკების პროცესს თანახელმძღვანელობენ, რეგიონში პერიოდულად ჩადიან. თუმცა ძალიან მცირეა ისეთი ევროპელი მოხელეების რიცხვი, რომლებიც აქტიურად არიან დაკავშირებული აფხაზეთთან. 2008-2016 წლებში ევროკავშირმა აფხაზეთში 40 მილიონი დოლარი დახარჯა. აღნიშნული ფულით დაფინანსდა ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები და დიალოგის პროექტები, ჯანდაცვა, განათლება, წყლის მომმარაგებელი სისტემების მოწყობა და გალში სახლების მშენებლობა. მიუხედავად იმისა, რომ ზოგადად ეს არც ისე ცოტაა, 2008 წლამდე გამოყოფილ თანხებთან შედარებით საკმაოდ მწირია. არსებული დახმარებაც გადაფარულია რუსეთის ფინანსური მხარდაჭერით. რუსეთის მიერ მხოლოდ პენსიებისთვის გამოყოფილი თანხა 10-ჯერ მეტია, ვიდრე ევროკავშირის დახმარების პროგრამის დაფინანსება.

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ყველაზე წარმატებული პროგრამა ალბათ იყო 1992-1993 წლებში მოუნიშნავ საფლავებში დაკრძალული დაკარგული ადამიანების მტკივნეული საკითხის მოგვარება. წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტმა ორივე მხარესთან იმუშავა ცხედრების ექსჰუმაციის და ხელახლა დაკრძალვის საკითხებზე. 2016 წლის წითელი ჯვარის ანგარიშის თანახმად, 2013-2015 წლებში ექსპერტებმა 162 ადამიანის ნეშტი იპოვეს, რომელთაგან ნახევარი ამოიცნეს და ოჯახებს გადასცეს. ამ პროექტმა ბევრი ომით დაზარალებულის ფსიქოლოგიური ჭრილობა მოაშუშა. მიუხედავად იმისა, რომ ეს პროექტი ევროკავშირმა დააფინანსა, აფხაზეთში ის მაინც წითელი ჯვრის პროექტად აღიქმებოდა. ევროკავშირი ასევე არის აფხაზეთში მოქმედი ყველაზე აქტიური საერთაშორისო სააგენტოს - გაეროს განვითარების პროგრამის მუშაობის მთავარი დამფინანსებელი, თუმცა საბოლოოდ, ადგილზე ევროკავშირის წარმომადგენლების სიმცირის და მის მიერ დაფინანსებული პროექტების საჯაროობის ნაკლებობის გამო, ევროკავშირმა აფხაზეთში ცნობადობა დაკარგა.

ალბათ დამთხვევა არაა, რომ ევროკავშირმა აფხაზეთში თავისი ჩართულობა შეამცირა აღმოსავლეთ ევროპის პარტნიორობის ფარგლებში მის პარტნიორ საქართველოსთან ურთიერთობების გაღრმავების ფონზე. თბილისში, ევროკავშირის გაზრდილი დელეგაციისთვის და ინსტიტუტებისთვის ძირითადი პრიორიტეტი საქართველოს ევროინტეგრაცია და ასოცირების ხელშეკრულების შესრულებაა. აფხაზეთში მეტი ჩართულობა არაპოპულარული საკითხია ბევრი ქართველისთვის და ამიტომაც ეს თემა პრიორიტეტებს შორის აღარაა. აფხაზეთის შესახებ ევროკავშირის ყველა განცხადება ან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის მხარდაჭერის გამოსახატად, ან აფხაზეთში ჩატარებული არჩევნების დასაგმობად ვრცელდება. 2018 წელს ევროპარლამენტში წარმოთქმულ სიტყვაში, ევროკავშირის ერთ-ერთ უმაღლესი თანამდებობის პირს, ფედერიკა მოგერინის, აღარ უხსენებია ევროკავშირის ინტერესები კონფლიქტის რეგიონში. ამის ნაცვლად მან განაცხადა: „მინდა ხაზი გავუსვა, რომ ორივე რეგიონში ჩვენი მოქმედებები სრულ თანხმობაშია და მოწონებულია საქართველოს ხელისუფლების მიერ და შეესაბამება საქართველოს ჩართულობის პოლიტიკას“. ამ გამოსვლას თბილისში სიხარულით შეხვდნენ, თუმცა საგაზეთო პუბლიკაციაში ყოფილმა სახელმწიფო მინისტრმა, პაატა ზაქარეიშვილმა, ამ პოზიციას სახიფათო უწოდა. ის წერდა: „განცხადება სასიამოვნო მოსასმენია, მაგრამ შინაარსობრივად ახალი არაფერია... ყალიბდება ცნობიერება, რომლის მიხედვითაც, ყველაზე მნიშვნელოვანია არა ის, თუ რა ფორმას მიიღებს აფხაზეთთან და ოსებთან ხელახალი გაერთიანება, არამედ რამდენი ხმა მივიღეთ გაეროში აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის შესახებ რეზოლუციების მხდასაჭერად“. ზაქარეიშვილი წუხს, რომ ევროკავშირის აღარ აინტერესებს კონფლიქტი და რეზოლუციის წასახალისებლად რეალური ძალისხმევის ნაცვლად, რიტორიკული განცხადებებით შემოიფარგლება.

თბილისის ხედვა

ევროკავშირის ჩართულობის შემცირება თბილისის წუხილებთან თანხვედრაშია. 2008 წლის ბოლოს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ, რომლის თანახმადაც აკრძალულია ნებისმიერი ეკონომიკური საქმიანობა ამ ტერიტორიებზე საქართველოს მთავრობის ნებართვის გარეშე, დასჯადი გახდა ამ ტერიტორიებზე რუსეთიდან შესვლა და ამ რეგიონებზე საერთაშორისო მიმოსვლა დაექვემდებარა გარკვეულ პირობებს.

ევროკავშირის არაღიარების და ჩართულობის პოლიტიკა დიდწილად გადაფარა 2010 წელს საქართველოს მიერ მიღებულმა ახალმა პოლიტიკის დოკუმენტმა - „სახელმწიფოს სტრატეგია ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ: ჩართულობა თანამშრომლობის გზით“.¹ რეინტეგრაციის მინისტრი თემურ იაკობაშვილი აცხადებდა, რომ ეს იყო „ხალხზე ორიენტირებული პოლიტიკა“, რომელიც სთავაზობდა აფხაზებს და ოსებს ჯანდაცვას, განათლებას, და ხალხთა შორის კომუნიკაციას. დოკუმენტის ტონი წინამორბედებთან შედარებით შემრიგებლური იყო, თუმცა მისი კონცეპტუალური ჩარჩო აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის მიმართ ევროკავშირის არაღიარებისა და ჩართულობის პოლიტიკასთან შედარებით ვიწრო იყო. ის მიზნად ისახავდა „აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის სრულ დეოკუპაციას, რუსეთის ფედერაციის მხრიდან დაწყებული ანექსიის პროცესის შეჩერებას, ტერიტორიებისა და მისი მოსახლეობის მშვიდობიან გაერთიანებას საქართველოს კონსტიტუციურ საზღვრებში“. პოლიტიკის დოკუმენტი პროცესის ერთ მხარედ საქართველოს ასახელებდა, მეორე მხარედ კი - აფხაზეთს და სამხრეთ ოსეთს, ხოლო გაერთიანების პროცესის ფასილიტატორებად - საერთაშორისო საზოგადოებას.

¹ [http://gov.ge/files/224_31227_132584_SMR-Strategy-ge\(1\).pdf](http://gov.ge/files/224_31227_132584_SMR-Strategy-ge(1).pdf)

ქართველების ახალი სტრატეგიის მთავარ ღერძს აფხაზების და სამხრეთ ოსეთის მცხოვრებთათვის „ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის“ გაცემა წარმოადგენდა. ეს მათ საზღვარგარეთ მგზავრობის საშუალებას მისცემდა. დოკუმენტის დიზაინი ნეიტრალური იყო, საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოების გარეშე, მაგრამ დატანილი პატარა ბეჭდით ირკვეოდა, რომ ის საქართველოში იყო დამზადებული და განმცხადებელს საქართველოს მთავრობის მიერ კონტროლირებულ ტერიტორიაზე უნდა აეღო. გეგმა მოიწონეს ევროკავშირმა და შეერთებულმა შტატებმა - საქართველოს მთავარმა დასავლელმა პარტნიორებმა. აფხაზების თქმით, ასეთ ნეიტრალურ საბუთებს 1990-იანებში სიხარულით დათანხმდებოდნენ, მაგრამ 2008 წლის შემდეგ, ეს შეთავაზება მათთვის მიუღებელი და დაგვიანებული იყო. მაშინაც კი როცა ქართველებმა განაცხადეს, რომ ევროკავშირთან თავისუფალი მიმოსვლით შეეძლოთ ესარგებლათ აფხაზებსაც, თუ ისინი აიღებდნენ ქართულ პასპორტებს, აფხაზებს არ გამოუვლენიათ ამით დაინტერესება.

2012 წელს მიხეილ სააკაშვილმა და მისმა ნაციონალურმა მოძრაობამ დაკარგა ძალაუფლება და ის ჩაანაცვლა ქართულმა ოცნებამ, ბიძინა ივანიშვილის ხელმძღვანელობით. გამოცდილი სამოქალაქო აქტივისტი პაატა ზაქარეიშვილი, ადამიანი, რომელსაც პატივს სცემდნენ აფხაზეთშიც და საქართველოშიც, ამ ორ ტერიტორიასთან ურთიერთობის მინისტრი გახდა. სიმბოლურად მან თავის უწყებას შერიგების და სამოქალაქო თანასწორობის სამინისტრო უწოდა. 4 წლიანი მინისტრობის განმავლობაში ზაქარეიშვილი იმედს ამყარებდა მეტ დიალოგსა და ჩართულობაზე. თავდაცვის მინისტრ ირაკლი ალასანიასთან ერთად მან იმუშავა ქართული ნახევრად გასამხედროებული მოქმედებების აღსაკვეთად გალის რაიონში. პაატა ზაქარეიშვილმა გაამარტივა აფხაზეთისთვის საქართველოში ჩასვლა და ქართული ჯანდაცვით სარგებლობა. მან ნება დართო, ნებისმიერი მაიდენტიფიცირებელი საბუთი წარმოედგინათ, მათ შორის აფხაზური პასპორტი. საქართველოს მთავრობამ დღემდე შეინარჩუნა ეს პოლიტიკა. მინისტრის უვერტიურა აფხაზეთში ძირითადად უკუაგდეს. იქ იდეა, რომ „კონფლიქტი საბოლოოდ მოგვარებულია“ იმდენადაა გამჯდარი, რომ ქართველების გულითად დამოკიდებულებას უგულვებელყოფენ.

მომდევნო ინიციატივა პრემიერ მინისტრის, გიორგი კვიციანიშვილის და შერიგების მინისტრის, ქეთევან ციხელაშვილის მიერ გაჟღერდა 2018 წელს, რომელსაც „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“² ერქვა და სთავაზობდა აფხაზებს და ოსებს ქართველებთან ვაჭრობას, ასევე ახალ გზებს ქართული ჯანდაცვით, განათლების თუ სხვა სერვისებით სარგებლობისთვის. პირველ რიგში, აფხაზებს და ოსებს ექნებოდათ შესაძლებლობა, ქართული პირადობის მოწმობის გარეშე, მხოლოდ „პერსონალური ნომრით“ მიეღოთ ეს მომსახურებები. რამდენიმე მომსახურების ცენტრი გაიხსნა სოფელ რუხში, აფხაზეთის გამყოფ ხაზთან ახლოს. ინიციატივა დაახლოებით იმავე მომსახურებას სთავაზობდა, რაც დნესტრისპირელებს აქვთ მოლდოვაში, თუმცა ეს შეთავაზებები აფხაზეთში ცივად მიიღეს. თბილისის კონფლიქტის მოგვარება წარმოუდგენია, როგორც „გაყოფილი საზოგადოებების შერიგება“, ქართულ ჭერქვეშ, მაგრამ აფხაზეთისა და ოსებისთვის ეს საკითხი დახურულია. 2018 წლის ქართული გეგმის უარყოფის შესახებ ოფიციალურ განცხადებაში აფხაზეთის დე ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრი დაურ კოვა ამბობდა: „უკეთესი მომავლისთვის ერთადერთი გზა საქართველოს მიერ აფხაზეთის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აღიარება და ქვეყნებს შორის სრულფასოვანი სახელმწიფოებრივი დიალოგის წამოწყებაა, რაც შემდგომი თაობების სტაბილურობას და კეთილდღეობას შეუწყობს ხელს“.

² https://www.smr.gov.ge/uploads/prev/Concept_GE_7dd46c38.pdf

შემდეგი ნაბიჯები

აფხაზეთი დღესდღეობით მატერიალურად გაცილებით უზრუნველყოფილი და ამავდროულად პოლიტიკურად ჩაკეტილია, ვიდრე 2008 წლის ომამდე იყო. „მფარველმა რუსეთმა“ აფხაზეთი შედარებით უსაფრთხო და სტაბილურ ქვეყნად აქცია, მაგრამ ამის სანაცვლოდ მისი გავლენები გაიზარდა. გეოპოლიტიკურმა კონტექსტმა აფხაზეთი კიდევ უფრო ღრმად ჩაფლო რუსულ სივრცეში. აფხაზეთმა საჯაროდ დაუჭირეს მხარი რუსეთის ინტერვენციას ყირიმში. აფხაზეთში რუსული საინფორმაციო სააგენტოები და სატელევიზო არხები დომინირებენ მედია სფეროში. არასამთავრობო ორგანიზაციები წნეხის ქვეშ ექცევიან დასავლეთიდან დაფინანსების გამო. საუბრობენ, რომ პარლამენტმა შეიძლება მიიღოს „უცხო ქვეყნის აგენტების შესახებ“ კანონი, როგორც ეს რუსეთში მოხდა.

ეთნიკური იდენტობის პოლიტიკა კვლავ ძლიერია. თანამედროვე აფხაზეთი ყოფით დონეზე მულტიეთნიკურია, თუმცა პოლიტიკურად ეთნოკრატიული. პარლამენტში 35 დეპუტატიდან 31 აფხაზია და 3 სომეხი. გალის ოლქის წარმომადგენელი კახა პერტაია ნაწილობრივ ქართველია, მაგრამ სხვა არც ერთ ქართველს ან რუსს არ უკავია პოლიტიკური თანამდებობა. ეს არის საბჭოთა პერიოდში აფხაზების ტიტულარულ ერად გამოცხადების და შემდეგ ეთნიკურ ნიადაგზე მომხდარი ომის შედეგი. დნესტრისპირეთის და ჩრდილოეთ კვიპროსისგან განსხვავებით, აქ ისევ ძლიერი სოციალური სტიგმაა ქართული მომსახურებით ან სამოქალაქო დოკუმენტებით სარგებლობა, მიუხედავად იმისა, რომ ცაკლეული ინდივიდისთვის ეს შესაძლოა საკმაოდ მიმზიდველი იყოს. გალში მცხოვრებ ეთნიკურ ქართველებსაც ბევრი პრობლემა ექმნებათ ქართულ ენაზე განათლების მისაღებად და ენგურის გავლით მეზობელ სამეგრელოში გადასასვლელად. 2017 წელს აფხაზეთმა და რუსებმა კიდევ უფრო გაართულეს გადასვლა, რადგან ჩაკეტეს გამსვლელი პუნქტები და მხოლოდ ერთი მათგანი დატოვეს ღია.

2017 წლის ოქტომბერში აფხაზეთმა განაცხადეს, რომ ევროკავშირის ჩართულობას კვლავ მიესალმებიან, მაგრამ მხოლოდ საქართველოსთან დაკავშირების გარეშე. აფხაზი თანამდებობის პირები, დნესტრისპირელი და ჩრდილოეთ კვიპროსელებისგან განსხვავებით, კვლავ საერთაშორისო აღიარებას მიიჩნევენ თავიანთი პრობლემების გადაჭრის ერთადერთ გზად. ყოფილმა პრემიერ მინისტრმა და აფხაზეთის სავაჭრო პალატის თავმჯდომარემ გენადი გაგულიამ თქვა, რომ ის მზადაა ივაჭროს ქართველებთან, მაგრამ ამის გამო პოლიტიკურ დათმობებზე არ წავა. იგი აცხადებს, რომ არის სავაჭრო ურთიერთობები თურქეთთან, რუსეთთან, და ევროპასთან რუსეთის გავლით. როცა გაგულიას ბრიუსელის წარმომადგენლის ჩასვლაზე და მასთან განხილულ საქართველოს ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი ვაჭრობის შესახებ ჰკითხეს, მან უპასუხა: „ვუთხარი, რომ თუ საქართველო გვადიარებს, პრობლემა არ გვექნება. დაურ კოვე მტკიცედ უარყოფს დასავლეთის მიერ მხარდაჭერილ, აფხაზეთისადმი თბილისის შეთავაზებულ მომსახურებებს. მისი თქმით, „ქართველებს ერთი მარტივი რამ არ ესმით. ჩვენ ისინი არ გვჭირდება. ჩვენ 25 წელი გავმელით მათ გარეშე“.

ეს განცხადებები ბოლომდე პირდაპირ არ უნდა გავიგოთ. მიუხედავად საჯაროდ ასეთი მკაცრი საუბრისა, აფხაზეთს თვითიზოლაცია, და სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ჩაკეტილი საზღვრები და რუსეთზე სრული დამოკიდებულება ელით. რეგიონში სუსტი საერთაშორისო ჩართულობის ფონზე, ამ პროცესს უკვე ცუდი შედეგები მოჰყვა. მაგალითად, 2017 წელს, „ყავისფერმა ფაროსანამ“ თბილისის მოსავალი, როგორც აფხაზეთში, ისე დასავლეთ საქართველოში გაანადგურა, რამაც მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენა ფერმერებს ორივე მხარეს. ერთ-ერთი დაანგარიშებით, აფხაზეთში მოსავლის 80%-ზე მეტი განადგურდა, თუმცა სტატუსის შესახებ დავის გამო, ექსპერტებს ცოდნის გაზიარების შესაძლებლობა არ მიეცათ.

ქართველი ექსპერტები აფხაზეთში ვერ ჩადიოდნენ და ორ მხარეს შორის არასაკმარისი კოორდინაცია იყო.

შეუძლია თუ არა ვინმეს ამ უარყოფითი დინამიკის შეცვლა? სხვადასხვა ჯგუფი აფხაზეთში - სტუდენტები, ბიზნესმენები, ჟურნალისტები ახალ პოლიტიკას ალბათ ნამდვილად დაუჭერდნენ მხარს, მაგრამ ამჟამად სიჩუმეს ამჯობინებენ. ცალკე ჯგუფია სომხური თემი აფხაზეთში, რომელთა შეხედულებების გარკვევა ძნელია, მაგრამ მეტი ჩართულობა მათთვის სასარგებლო იქნებოდა. 2011 წლის აღწერით, ამ უკანასკნელთა რაოდენობა 42 000 ადამიანს შეადგენს (მთელი 240 000-იანი მოსახლეობიდან) და ძალიან აქტიურები არიან ბიზნესში. სომეხთა რეალური რაოდენობა შეიძლება უფრო მაღალიც იყოს, მაგრამ პოლიტიკურ ცხოვრებაში ისინი თითქმის არ არიან წარმოდგენილნი.

განახლებულ ჩართულობაზე საუბრისას სამი მიმართულებით განხილვა არის რელევანტური. ერთ-ერთია უმაღლესი განათლება. ვლადიმირ დელბა, აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის (ასუ) ვიცე რექტორი, ერთ-ერთ ინტერვიუში ამბობს, რომ მის უნივერსიტეტს ბევრი საერთაშორისო კონტაქტი აქვს, მაგრამ ძირითადად რუსეთის ფედერაციასთან მუშაობს. რექტორის აზრით, ერთადერთი „სწორი გადაწყვეტილება“ აფხაზეთის საერთაშორისო აღიარებაა, რაც საბოლოოდ ასუ-ს საერთაშორისო ასპარეზზე გაიყვანს. მიუხედავად ამისა, ზოგიერთი სტუდენტი და მასწავლებელი იმედოვნებს, რომ თავად მოახერხებენ რუსეთის გარეშე, საერთაშორისო ასპარეზზე გასვლას. საქართველოს განათლების სისტემასთან დაკავშირება პოლიტიკურად შეუძლებელია, მაგრამ საქართველოს თანხმობის შემთხვევაში, ორმხრივი კავშირების გაბმა ევროპულ უნივერსიტეტებთან შესაძლებელი უნდა გახდეს. ერთი ასეთი მუშაობის სქემა ასუ-ს და ბრიუსელის თავისუფალ უნივერსიტეტს შორის უკვე მოქმედებს.

მეორე საკითხია ის, რომ აფხაზები საერთაშორისო მიმოსვლის შესაძლებლობებითაც არიან დაინტერესებულნი. დღესდღეობით, აფხაზეთის მაცხოვრებლებისთვის საზღვარგარეთ გამგზავრების შესაძლებლობას, ან უარს ვიზაზე, რუსეთის პასპორტით იღებენ. მიიღებენ თუ არა ვიზას, დამოკიდებულია სხვადასხვა ევროპულ სახელმწიფოზე, რომელთაც თავის მხრივ, ამ საკითხზე განსხვავებული შეხედულებები აქვთ. ვითარება ბოლო ორი წლის განმავლობაში გაუარესდა; ვინაიდან ახალგაზრდა აფხაზებს რუსული პასპორტები ჯერ არ აქვთ, რუსეთს მიღმა არსად შეუძლიათ მოგზაურობა. რუსეთის პოზიციაა, რადგან აფხაზეთს რუსეთი აღიარებს, აფხაზური პასპორტები საკმარისი უნდა იყოს. ყველა მხარისთვის მისაღები ალტერნატიული სქემა ჯერ არ გამოინახა. თუმცა, საერთო ინტერესი ახალ გამოსავალს მოითხოვს - ქართველებისთვის, რომელთაც არ უნდათ, რომ აფხაზებს მხოლოდ რუსული საბუთები ჰქონდეთ, და აფხაზებისთვის, რომელთაც საზღვარგარეთ მოგზაურობა უნდათ.

ჩართულობის მესამე სფერო ვაჭრობაა. დღესდღეობით, აფხაზეთის ეკონომიკური აქტივობა მხოლოდ რამდენიმე სექტორს მოიცავს. კერძოდ: ტურიზმს, მანდარინის და თხილის მოყვანას, რომელიც თითქმის მთლიანად რუსეთში გადის. აფხაზეთი ცოტაოდენს თურქეთთანაც ვაჭრობს ზღვის მეშვეობით, მაგრამ ეს საქართველომ უკანონოდ ცნო. თავად საქართველოსთან ეკონომიკური კავშირები სუსტია. მთავარი საერთო ეკონომიკური პროექტი ჰიდროელექტროსადგურია მდინარე ენგურზე. აფხაზი ბიზნესმენები დასავლეთთან კავშირებს ეძებენ, რათა ევროპული საქონელი შემოიტანონ და საკუთარი ნაწარმი (მაგ., თხილი) გასაყიდად გაიტანონ იქ, საიდანაც რუსულ ბაზართან შედარებით, 5-ჯერ მეტი შემოსავალი ექნებათ. აფხაზეთში ჩასული ევროკავშირის წარმომადგენლები, არაფორმალურ საუბრებში, საქართველოს თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების რეგიონზე გავრცელების დნესტრისპირეთის მსგავს განვითარებაზე მიუთითებენ. აფხაზი ბიზნესმენებისგან

განსხვავებით, დნესტრისპირელები მზად არიან, მოლდოვური საბაჟო, წარმოების სერტიფიკატები და საბაჟო რეგულაციები მიიღონ. თუ ვინ აკონტროლებს რეალურად რუსულ-აფხაზურ საზღვარს, შეიძლება ცალკე გამოწვევად იქცეს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ სტატუს-ნეიტრალური მექანიზმების გამოწვევა შეუძლებელია. ამას კი სერიოზული პოლიტიკური ნება სჭირდება, მათ შორის რუსეთის მხრიდან.

ასეთი არასასაურველი ვითარებიდან თავის დაღწევას მეტი შემოქმედებითობა სჭირდება. თბილისმა უკანასკნელ წლებში აფხაზეთთან მიმართებაში გაცილებით უფრო პროგრესული იდეები განახორციელა, ვიდრე 1993 წლის ბოლოდან მოყოლებული რომელიმე სხვა პერიოდში. მიუხედავად ამისა, სამწუხაროდ, ბევრად ნაკლები საშუალებაა დღესდღეობით მის ხელთ მრავალწლიანი იზოლაციის გამო. ეს, თავის მხრივ, საერთაშორისო წარმომადგენლებისთვისაც ავიწროებს აფხაზეთთან კომუნიკაციის ფანჯარას. 2018 წლის მოცემულობით ყველაზე კარგი რაც შეიძლება ითქვას ისაა, რომ ფანჯრები ჯერჯერობით ბოლომდე არ დახურულა.

დნესტრისპირეთი: „ჩემი თავი რუსეთშია, ხოლო ფეხები ევროპისკენ მიდის“

მოლდოვა-დნესტრისპირეთის კონფლიქტი სხვა პოსტ-საბჭოთა კონფლიქტებზე ნაკლებ მწვავეა. 1992 წელს ომის დასრულების შემდეგ აქ სამხედრო შეტაკებები თითქმის არ მომხდარა და ვითარება გაჭიანურებულ პოლიტიკურ განხეთქილებას უფრო ჰგავს, ვიდრე საომარ კონფლიქტს. აფხაზეთისგან განსხვავებით ადამიანები თავისუფლად გადაადგილდებიან და ვაჭრობენ ერთმანეთთან გამყოფი ხაზის ორივე მხარიდან. ეკონომიკური ინტეგრაცია საკმაოდ ღრმა და მრავალმხრივია. მოლდოვური საფეხბურთო კლუბები ატარებენ საერთაშორისო მატჩებს ტირასპოლის მახლობლად მდებარე ბრწყინვალე სტადიონზე. მხარეებს შორის დადებულია 187 შეთანხმება, რომელთა საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ უკვე არსებობს „დე ფაქტო კონფედერაცია“. მფარველი სახელმწიფოს - რუსეთის პოზიციებიც ბევრად შერბილებულია, ვიდრე აფხაზეთის შემთხვევაში. მოსკოვი იზიარებს საერთაშორისო კონსენსუსს იმის შესახებ, რომ დნესტრისპირეთი უნდა იყოს მოლდოვას შემადგენლობაში განსაკუთრებული სტატუსით, თუმცა ამ სტატუსთან დაკავშირებულ რამდენიმე მნიშვნელოვან დეტალზე განსხვავებული პოზიცია აქვს. აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთისგან განსხვავებით, რუსეთს არ უღიარებია დნესტრისპირეთის დამოუკიდებლობა, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის დუმის ზოგიერთი წევრი მოითხოვდა ამ გადაწყვეტილების მიღებას.

მხარეებს შორის საბოლოო შეთანხმებამდე ჯერ კიდევ შორია. ამ შემთხვევაშიც უსაფრთხოების შესახებ წუხილი ხელს უშლის საკითხის გადაწყვეტას, თუმცა ეს პრობლემა ისე მწვავე არაა, როგორც აფხაზეთში ან ჩრდილოეთ კვიპროსში. მოლდოვის კონსტიტუცია ქვეყნის „მუდმივ ნეიტრალიტეტს“ აცხადებს, გამორიცხავს გაწევრიანებას ნატოში და ამით სპობს იმ კამათის მიზეზს, რაც რუსეთს და საქართველოს/უკრაინას შორის მიმდინარეობს. რუსული სამხედრო ძალები დნესტრისპირეთში იმყოფებიან საერთაშორისო სამართლის ნორმების დარღვევით, მასპინძელი ქვეყნის თანხმობის გარეშე. უნდა ითქვას, რომ მათი რაოდენობა 1,500-მდეა შემცირებული, რომელთა უმეტესობა ადგილობრივი დნესტრისპირელია. რუსი სამხედროების რეალური რაოდენობა დაახლოებით ალბათ 100 ჯარისკაცით შემოიფარგლება.

დნესტრისპირელების უმრავლესობისთვის სასარგებლო იქნება ადგილზე უფრო ფართო საერთაშორისო წარმომადგენლობის არსებობა, ადგილობრივი ეკონომიკის გარდაქმნა, რაც დააჩქარებს ტერიტორიის ინტეგრაციას მოლდოვის სახელმწიფოში.

კონტექსტი

დნესტრისპირეთის კონფლიქტი შეიძლება აიხსნას არა ეთნიკური მიზეზებით, არამედ გეოგრაფიით, ისტორიით და ელიტებს შორის დამოკიდებულებით. დე ფაქტო დნესტრისპირეთი ფორმალურად წარმოადგენს ალტერნატიულ მოლდოვის რესპუბლიკას, სადაც 3 სახელმწიფო ენაა: მოლდოვური, რუსული და უკრაინული.

400 კილომეტრის ტერიტორია, რომელიც მდინარე დნესტრს მიუყვება, მოლდოვაში ცნობილია დნესტრისპირეთის სახელით, რაც მდინარე დნესტრის იქეთა (აღმოსავლეთ, მარცხენა) სანაპიროს გულისხმობს. ამ სახელწოდებას იყენებენ საერთაშორისო მედიატორებიც. დნესტრისპირეთმა თავისი ისტორიის ნაწილი, მშობლიურ სახელმწიფო მოლდოვასთან ერთად გაატარა, ნაწილი კი მის გარეშე.

1940 წელს მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტის თანახმად, ნაცისტურ გერმანიასთან შეთანხმებით, საბჭოთა კავშირმა რუმინეთის ტერიტორიიდან მიიღო ბესარაბია და ჩრდილოეთ ბუკოვინა მდინარე დნესტრის დასავლეთ სანაპიროზე, ხოლო ბესარაბიის სამხრეთ ნაწილი უკრაინას ჩამოართვა და შექმნა მოლდოვის საბჭოთა რესპუბლიკა. 1941 წელს საბჭოთა კავშირში გერმანიის შეჭრის შემდეგ, ნაცისტების მოკავშირე რუმინეთმა, დაიბრუნა მისი ტერიტორიები. ეს ტერიტორია ხელახლა დაიკავა წითელმა არმიამ 1944 წელს. მოლდოვის საბჭოთა რესპუბლიკა დაფუძნდა მდინარე დნესტრის ორივე სანაპიროს მდებარე ტერიტორიებზე. ორივე ნაპირს საკმაოდ თავისებური აღქმა ჰქონდა თანამედროვე ისტორიის ბნელი მოვლენების მიმართ. უხეშად რომ ვთქვათ, დნესტრის მარჯვენა სანაპიროს მაცხოვრებლები თავიანთი ბაბუების დახოცვაში სტალინს ადანაშაულებდნენ, მაშინ როცა მეორე მხარე თავს ჰიტლერის მსხვერპლად მიიჩნევდა. დნესტრისპირეთში სიხარულით აღინიშნება საბჭოეთის გამარჯვება დიდ სამამულო ომში. ტირასპოლის ცენტრში დგას რუსი გენერლის გრაფი ალექსანდრ სუვოროვის ძეგლი, მისი ხელმძღვანელობით მე-18 საუკუნეში წარმოებული სამხედრო კამპანიების გამარჯვების პატივსაცემად.

1945 წლის შემდეგ საბჭოთა ხელისუფლება მუდმივად ეჭვის თვალით უყურებდა მარჯვენა სანაპიროზე მდებარე მოლდოვას, ისევე როგორც ბალტიისპირეთის სახელმწიფოებს. სამაგიეროდ დნესტრისპირეთი, რომელიც მანამდე ღარიბი, სოფლის მეურნეობაზე დამოკიდებული მხარე იყო, გარდაიქმნა ახალ, ინდუსტრიულ რეგიონად რუსულენოვანი მოსახლეობით. ამის ნიადაგზე შეიქმნა მდინარის ორ სანაპიროზე ორი განსხვავებული ელიტა, თუმცა მოსახლეობას კვლავ ბევრი ჰქონდა საერთო. მარჯვენა ნაპირზე მდებარე მოლდოველ ინტელექტუალებზე საგრძნობი იყო რუმინეთის გავლენა. მარცხენა სანაპიროს ელიტას ჰქონდა არაპროპორციული პოლიტიკური ძალაუფლება 1980-იან წლებამდე. ისინი იზიარებდნენ მოსკოვის მოსაზრებებს რუსიფიკაციასთან დაკავშირებით, რუსულ ენას ანიჭებდნენ უპირატესობას და მათი მემკვიდრეები დღემდე მიიჩნევენ საკუთარ თავს „რუსული სამყაროს“ ნაწილად. ეს დაყოფა აისახებოდა ეკონომიკური რესურსების და მოსკოვის სიმპათიების განაწილებაშიც. დღესდღეობით ორივე მხარე ერთმანეთს მოიხსენიებს დამამცირებლად. კომინიოვში დნესტრისპირეთს მიიჩნევენ ძველმოდურ ნეო-საბჭოთა რეჟიმად. ტირასპოლში მარჯვენა ნაპირზე მდებარე მოლდოვა აღიქმება როგორც უფუნქციო სახელმწიფო, „მანქანა, რომელიც არ იქოქება“. პერესტროიკის პერიოდში, საქართველოს და აზერბაიჯანის მსგავსად, კომინიოვის ანტისაბჭოთა ნაციონალისტებმა დაიწყეს საკუთარი მოლდოვური იდენტობის ხაზგასმა და მოსკოვთან კავშირების გაწყვეტა. პრომოსკოვურმა დნესტრისპირეთის ელიტამ პირიქით, გამოაცხადა ავტონომია და მოსკოვის მიმართ ერთგულება გამოხატა. 1989 წლის 31 აგვისტოს ახლად არჩეულმა მოლდოვის უმაღლესმა საბჭომ დაამტკიცა სამი ოფიციალური ენა, რომელთაგან უპირატესად გამოაცხადა მოლდოვური, როგორც სახელმწიფო ენა. ამას დიდი

უკმაყოფილება მოჰყვა დნესტრისპირეთში, სადაც ეს ფაქტი აღიქვს მათ საწინააღმდეგო გადაწყვეტილებად და რუსულენოვანი კადრების დევნად. ორ მხარეს შორის დაპირისპირება დაიწყო. 1991 წელს საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ წარმოიშვა დამოუკიდებელი მოლდოვის სახელმწიფო და სეპარატისტული დნესტრისპირეთი.

დნესტრისპირეთში ომი უფრო ხანმოკლე იყო, ვიდრე კავკასიაში. ის მხოლოდ 2 თვე გრძელდებოდა და ბევრად მცირე რაოდენობის ადამიანი დაიღუპა. დაახლოებით 1000 ადამიანის დაღუპვამ, მაინც დაამჩნია ღრმა ტრავმები ასეთ პატარა რეგიონს. არცერთ მხარეს არ ჰყავდა მომზადებული შეიარაღებული ძალა. გადამწყვეტი აღმოჩნდა რუსეთის მე-14 არმიის ჩართვა გენერალ ალექსანდრე ლეხედის მეთაურობით. ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმება შედგა 1992 წლის ივლისში, დადგინდა, სტატუს ქვო და დე ფაქტო საზღვარზე განლაგებულიყვნენ მოლდოვური, რუსი და დნესტრისპირელი სამშვიდოებოები.

დაბრკოლებები შეთანხმების მისაღწევად

დნესტრისპირეთს დამოუკიდებლობა სურს, მაგრამ რუსეთს საკუთარი მოსაზრებები აქვს შესაძლო შეთანხმებასთან დაკავშირებით. 2003 წელს რუსეთმა შეძლო დაერწმუნებინა დნესტრისპირეთის მმართველი იგორ სმირნოვი, მხარი დაეჭირა შეთანხმებისთვის, რომელიც ითვალისწინებდა დნესტრისპირეთის გაერთიანებას მოლდოვის შემადგენლობაში, მაგრამ ადგილზე დარჩებოდნენ რუსი სამხედროები და რუსეთს ექნებოდა ვეტოს უფლება მოლდოვის უსაფრთხოების პოლიტიკაზე. რეალურად მოსკოვს უნდოდა გაეკეთებინა იგივე, რაც შემდეგ აღმოსავლეთ უკრაინაში გააკეთა, დნესტრისპირეთის მეშვეობით შეეჩერებინა მოლდოვას ნატოში გაწევრიანება. ბოლო მომენტში კიშინიოვმა, დასავლეთის ქვეყნების წაქეზებით, უარი თქვა ამ გეგმაზე.

საქართველოსგან განსხვავებით, სადაც ექსპერტები ქმნიან ბევრ მასალას და წლების განმავლობაში მუშაობენ აფხაზეთის საკითხებზე, მოლდოვაში ასეთი ადამიანები საკმაოდ ცოტაა. ინტეგრაციის უწყება მცირე დაფინანსებით მუშაობს და დაბალკვალიფიციურია. ეუთოს მხრიდან ხშირი მოწოდების და დახმარების შეთავაზების მიუხედავად, წლების განმავლობაში გაგრძელდა კონფლიქტის შესახებ სტრატეგიული დოკუმენტის შემუშავება.

ბევრი მოლდოველი კმაყოფილია არსებული ვითარებით და მიიჩნევს, რომ კიშინიოვმა არ უნდა დაუთმოს რამე ტირასპოლს და ისინიც ადრე თუ გვიან დათანხმდებიან მოლდოვაში ხელახლა გაერთიანებას. 2016 წელს, როდესაც ეუთო შუამავლობას უწევდა შეთანხმებასთან დაკავშირებულ მოლაპარაკებებს, არასამთავრობო ორგანიზაციების აქტივისტებმა და ყოფილმა სახელმწიფო მოხელეებმა, საპროტესტო განცხადება გაავრცელეს დნესტრისპირეთის შეთანხმების „წითელ ხაზებთან“ დაკავშირებით. ხელმომწერები აცხადებდნენ, რომ საერთაშორისო პარტნიორები ზეწოლას ახდენდნენ მოლდოვაზე, წასულიყო ისეთ შეთანხმებაზე, რომელიც საერთაშორისო სამართლის პრინციპებს და ნორმებს ეწინააღმდეგებოდა.

კონფლიქტის მოგვარებას აფერხებს კიდევ ერთი რამ, რაზეც საჯაროდ მაინცდამაინც არ საუბრობენ. დნესტრისპირეთს, როგორც საერთაშორისო სამართლის შავ ხვრელს, დნესტრის ორივე ნაპირზე არსებული ეკონომიკური ელიტა იყენებს საკუთარი საქმიანობისთვის. ზოგჯერ ტირასპოლსა და კიშინოვს შორის რაღაც საკითხებზე შეთანხმება ყოველგვარი საერთაშორისო შუამავლობის გარეშეც მარტივად მიიღწევა. ეს ცხადყოფს, თუ რამდენად მჭიდრო თანამშრომლობა შეუძლია ამ ორ მხარეს საკუთარი ეკონომიკური ინტერესების გამო.

მაგალითად, 2012 წელს ორივე მხარე სწრაფად შეთანხმდა სარკინიგზო ტვირთის მიმოსვლის დაშვებაზე დნესტრისპირეთში. აღნიშნული გულისხმობდა მოლდოვა-დნესტრისპირეთის ორი ერთობლივი საბაჟო პუნქტის შექმნას დნესტრისპირეთში, სადაც მოლდოველი მეზაჟეები განლაგდებოდნენ. გავრცელებულ ხმებს თუ ვენდობით, ეს შეთანხმება კონტრაბანდული სიგარეტის ვაჭრობის მიზნით დაიდო.

დნესტრისპირეთი დღეს

პირველმა შთაბეჭდილებამ შეიძლება შეცდომაში შეგვიყვანოთ. ტირასპოლში მოგზაურობის დროს შესაძლოა გაკვირვებული დარჩეთ იმით, რომ ქალაქი საბჭოთა თემატურ პარკს ჰგავს, ლენინის ძეგლებით, ნამგალისა და უროს გამოსახულებიანი დროშებით და მოძველებული ქუჩის სახელებით, მაგალითად, როზა ლუქსემბურგის ქუჩით. თუმცა ეს ყველაფერი ფარავს მკაფიო ეკონომიკურ შემობრუნებას ევროპისკენ.

პირველი ხელმძღვანელის, იგორ სმირნოვის, პერიოდში დნესტრისპირეთი წარმოადგენდა ჩაკეტილ საზოგადოებას. გარკვეული პოლიტიკური პლურალიზმი დაშვებული იყო, მაგრამ ხელისუფლება მკაცრად აკონტროლებდა ვითარებას და ზღუდავდა პრესის თავისუფლებას. 2011 წელს მოსკოვმა გადაწყვიტა სმირნოვის მოშორება, რადგან აღარ ენდობოდა მას. მომდევნო მეთაური ევგენი შევჩუკი რეგიონს მართავდა არეულ პერიოდში 2016 წლამდე, როდესაც მას მოუწია გადადგომა ძალაუფლების ბოროტად გამოყენების და კორუფციის გამო. მისი მმართველობის პერიოდში შემაშფოთებელი იყო რეგიონში ადამიანის უფლებების დაცვის მდგომარეობა, ხშირი დაკავებების, უმცირესობების მიმართ მოპყრობის და ოპოზიციის დევნის გამო.

2016 წელს შერიფის კონგლომერატის ირგვლივ გაერთიანებულმა ბიზნეს ელიტამ მოიპოვა ძალაუფლება. შერიფი არის რეგიონში ყველაზე მსხვილი დამსაქმებელი. ის აერთიანებს სუპერმარკეტების ფართო ქსელს, ცნობილ ღვინის და სპირტის მწარმოებელ ქარხნებს, გაზგასამართ სადგურებს, მობილურ ქსელს, ტელევიზიას, მოლდოვის ყველაზე წარმატებულ საფეხბურთო კლუბს და საუკეთესო სტადიონს. შერიფის მიერ მხარდაჭრილი კანდიდატი, ვადიმ კრასნოსელსკი გახდა დე ფაქტო პრეზიდენტი 2016 წლის დეკემბერში.

2014 წლის უკრაინის კრიზისის შემდეგ დნესტრისპირეთს ეკონომიკურად გაუჭირდა. ქარხნები დაიხურა და ათასობით მუშამ სამუშაო დაკარგა. შეწყდა უკრაინის მეშვეობით რუსეთთან ვაჭრობა. მოსახლეობის რაოდენობა ბოლო წლებში დაახლოებით 400 000-მდე შემცირდა არაოფიციალური ცნობებით, მაშინ როდესაც 1989 წლის საბჭოთა მოსახლეობის აღწერის მიხედვით, იქ ცხოვრობდა 679 000 ადამიანი, ხოლო 2004 წლის ადგილობრივი აღწერის თანახმად 555 000. ეს პროცესები დნესტრისპირეთს აღარიბებს და მის ამბიციებს ამცირებს. დე ფაქტო ლიდერები ფორმალურად საუბრობენ დამოუკიდებლობაზე. მიუხედავად ამისა, 2018 წლის შემდეგ ისინი ამ თემას ინტერვიუებში აღარ ახსენებენ, აცხადებენ რომ კულტურულად, პოლიტიკურად და იდეოლოგიურად მიეკუთვნებიან რუსულ სამყაროს და სურთ რუსული ჯარები დარჩნენ მათ ტერიტორიაზე. ამავე დროს, ისინი ამბობენ, რომ სურთ კეთილმეზობლური ურთიერთობა უკრაინასთან და თავს იკავებენ ყველანაირი კავშირისგან რუსეთის მიერ მხარდაჭრილ 2 სახალხო რესპუბლიკასთან აღმოსავლეთ უკრაინაში. სახელმწიფო პირები მოლდოვას განუვითარებელ სახელმწიფოს უწოდებენ, თუმცა მასთან პრაქტიკულ საკითხებზე თანამშრომლობისთვის მზად არიან. ისინი მიესალმებიან საერთაშორისო კონტაქტების დამყარებას. მათი თქმით, ევროკავშირთან ეკონომიკური თანამშრომლობა მნიშვნელოვანია, მაგრამ სიფრთხილით საუბრობენ იმის შესახებ, თუ რა სფეროებში უნდა განვითარდეს ეს თანამშრომლობა.

2016 წელს ეუთომ შეადგინა კონფლიქტის მოგვარების 8 პუნქტიანი გეგმა, რომელიც შემდეგნაირად არის ჩამოყალიბებული:

- დნესტრისპირეთის უნივერსიტეტების დიპლომების აღიარება მოლდოვის მიერ, რათა დნესტრისპირელმა სტუდენტებმა შეძლონ საზღვარგარეთ სწავლის გაგრძელება;
- დნესტრისპირეთის სატრანსპორტო საშუალებების სანომრე ნიშნების საერთაშორისოდ აღიარება, რათა მათ შეძლონ საზღვარგარეთ გადაადგილება;
- სატელეკომუნიკაციო ბაზრის ინტეგრაცია;
- მდინარე დნესტრის აუზში გარესმოსდაცვითი სტანდარტების რეგულირება;
- მდინარის მეორე მხარეს მყოფი მოსახლეობის მონაწილეობით სისხლის სამართლის საქმეების განხილვა;
- დნესტრისპირეთში მოდლოვური ენის ლათინური დამწერლობით სწავლება;
- კიშინიოვის კონტროლირებად ტერიტორიაზე მცხოვრები ფერმერებისთვის დნესტრისპირეთში დუბასარის სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე შესვლის უზრუნველყოფა;
- 1992 წლიდან ჩაკეტილი გულა-ბუკილოის ხიდის გახსნა და გადაადგილების თავისუფლებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები.

2017 წლის ნოემბერში ხიდის ხელახლა გახსნა წინსვლისთვის ბიძგის მიმცემი აღმოჩნდა. 2018 წლის მდგომარეობით 8-დან 6 მიზანი მიღწეულია. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი მათგანი საკმაოდ მცირე მნიშვნელობისაა, მთლიანობაში ეს პროცესი კონფლიქტის გადაჭრისთვის თანამშრომლობის სულისკვეთებას ატარებს და დადებითი მაგალითია სხვა კონფლიქტებისთვის.

ეუთო ამ პროცესის შუამავალია, ხოლო ევროკავშირი მთავარი მამოძრავებელი ძალა ცვლილებებისთვის. „ჩემი თავი რუსეთშია, ხოლო ფეხები ევროპისკენ მიდის“ - თქვა ერთმა ვეტერანმა დნესტრისპირელმა პოლიტიკოსმა. დნესტრისპირეთის მოსახლეობის დიდმა ნაწილმა გამოიყენა მოლდოვური პასპორტების მიღების შესაძლებლობა, რომელიც განსაკუთრებით მიმზიდველად გამოიყურება მას შემდეგ, რაც 2014 წელს მოლდოველებისთვის შესაძლებელი გახდა უვიზოდ მოგზაურობა შენგენის ზონაში. უფრო მეტიც, დნესტრისპირეთი მშვიდად შეუერთდა ევროპასთან მოლდოვის ღრმა და ყოვლისმომცველი ვაჭრობის შეთანხმებას.

სავაჭრო კავშირების გაღრმავება

რუსეთისგან გეოგრაფიული მოწყვეტის შემდეგ დნესტრისპირეთის ქარხნები ცდილობდნენ ექსპორტზე გაეტანათ საქონელი მოლდოვასა და ევროკავშირში. 2017 წელს ამ მიმართულებით ექსპორტმა მთლიანი ექსპორტის 2/3 შეადგინა, ხოლო რუსეთში ექსპორტის მხოლოდ 10% გადიოდა. მას შემდეგ, რაც მოლდოვა შეუერთდა ევროკავშირის ღრმა და ყოვლისმომცველ სავაჭრო შეთანხმებას, ბრიუსელთან მოლაპარაკებების შემდეგ, დნესტრისპირეთის კომპანიებიც დათანხმდნენ შეერთებოდნენ ამ შეთანხმებას. ამან გახსნა სავაჭრო კავშირები არა მხოლოდ ევროკავშირთან, არამედ დანარჩენ მსოფლიოსთანაც.

რეალურად დნესტრისპირეთის მთავრობა DCFTA-ს შეთანხმების ზოგიერთი ნაწილის შესრულებას თავს არიდებს. კერძოდ, საჭიროა ევროკავშირის იმპორტირებულ საქონელზე საბაჟო გადასახადის გაუქმება, საკუთარი საქონლის წარმოშობის სერტიფიკატების მიწოდება და სურსათის ჰიგიენის ევროკავშირის სტანდარტების დაცვა. დნესტრისპირეთის მიერ ამ

მოთხოვნების შესრულების ნელი ტემპი ბრიუსელის მიერ შეწყნარებულია, ამ შეთანხმების პოლიტიკური მნიშვნელობის გამო.

მოლდოვაში გარკვეულ უკმაყოფილებას გამოთქვამენ ამ შეთანხმებასთან დაკავშირებით. ერთ-ერთი ბიზნესმენი, რომელიც ზოგადად მიესალმებოდა ხსენებულ შეთანხმებას, აღნიშნავდა, რომ შეთანხმების შედეგია, არა ორმხრივი ინტეგრაცია მდინარის ორ ნაპირზე მყოფ მხარეებს შორის, არამედ მათი პარალელური ინტეგრაცია ევროკავშირში. ბევრი მოლდოველი ბიზნესმენი უკმაყოფილი იყო იმით, რომ ისინი არათანაბარ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ დნესტრისპირელებთან შედარებით, რომლებსაც არ უწევთ ისეთი ხარჯების გაღება ევროკავშირის ბაზარზე მოსახვედრად, რაც მოლდოველ ბიზნესმენებს.

ჩართულობის ახალი მიმართულებების გამოვლენა

სავაჭრო ურთიერთობების დამყარებით ევროკავშირმა ერთი ფეხი შედგა დნესტრისპირეთის ზღურბლზე. ამას შეიძლება მოჰყვეს თანამშრომლობა სხვა სექტორებში, როგორცაა გარემოს დაცვა, განათლება, ჯანდაცვა. ამჟამად ტირასპოლში არ არის ევროკავშირის წარმომადგენლობა.

ევროკავშირის ჩართულობა დნესტრისპირეთში შეზღუდული იყო სპეციალური მიზნებით, ამავე დროს, მოლდოვის პოლიტიკური მოსაზრებების და წუხილის გათვალისწინებით, ფრთხილად ხორციელდებოდა. ვინაიდან დამატებითი პროგრესი მიღწეულია, დროა გაფართოვდეს ჩართულობა და მან დნესტრისპირეთის უფრო მეტი მაცხოვრებელი მოიცვას, ვიდრე ის მცირე ნაწილი, რომელიც ახლა სარგებლობს 8 პუნქტიანი შეთანხმებით. ევროკავშირს ბევრი რამის შეთავაზება შეუძლია დნესტრისპირეთის მთელი რიგი დაწესებულებებისთვის. ასეთი შეიძლება იყოს არასახარბიელო მდგომარეობაში მყოფი, მოძველებული ტირასპოლის უნივერსიტეტი, სადაც 3 000 სტუდენტი სწავლობს. საჭიროა უფრო მჭიდრო თანამშრომლობა საერთაშორისო პარტნიორებთან, ადგილობრივ ხელისუფლებასთან, კიშინიოვის მთავრობასთან. ეს იქნებოდა გამოწვევა ევროკავშირისთვის, რომელსაც ესაჭიროება პროაქტიული მოქმედება წყნარი დიპლომატიის ნაცვლად, თუმცა მომდევნო ლოგიკური ნაბიჯი დნესტრისპირეთის კონფლიქტის მოგვარების პოზიტიური დინამიკის შენარჩუნებაა.

კვიპროსი: ევროპაში და მუდმივ გაურკვევლობაში

კვიპროსის კონფლიქტი გაცილებით ნაკლებად მძაფრია, ვიდრე ბევრი სხვა დაპირისპირება ევროპაში. კვიპროსის კონფლიქტმა დნესტრისპირეთის მსგავსად, ძალადობიდან პოლიტიკის და სამართლის სფეროში გადაინაცვლა. ვითარება ადგილზე ბევრად მშვიდია და ცხოვრების სტანდარტებიც შედარებით მაღალი. არაერთი რამ გადაწყვეტილია მოლაპარაკებების მეშვეობით, ხალხთა შორის კომუნიკაციაც დამყარებულია და სამოქალაქო საზოგადოებები ურთიერთობენ ერთმანეთთან.

სხვა შემთხვევების მსგავსად, ურთიერთობები ჩიხშია შესული უსაფრთხოების, ძალაუფლების განაწილების და საბოლოო სტატუსის განსაზღვრის საკითხებზე. ეს განსაკუთრებით მტკივნეულია კვიპროსელი თურქებისთვის, რომლებიც რამდენიმე ათწლეულია ცხოვრობენ თვითაღიარებულ სახელმწიფოში. ეს უკანასკნელი ნახევრად ღიაა დანარჩენი მსოფლიოსთვის, მაგრამ მისი საერთაშორისო სტატუსი მაინც გაურკვეველია.

კვიპროსელი თურქები ცხოვრობენ დე ფაქტო სახელმწიფოში 1983 წლის 15 ნოემბრის შემდეგ, როდესაც გამოცხადდა ჩრდილოეთ კვიპროსის თურქული რესპუბლიკა. აღნიშნული ფაქტი გაეროს უშიშროების საბჭომ უკანანოდ ცნო სამი დღის შემდეგ. იმ დროისთვის ჩრდილოეთ კვიპროსში არ იყო საყოველთაო თანხმობა დამოუკიდებლობის გამოცხადებასთან დაკავშირებით. კვიპროსელი თურქების შეხედულებები მათი სამშობლოს სტატუსთან დაკავშირებით გაცილებით უფრო მრავალფეროვანია, ვიდრე აფხაზების ან დნესტრისპირელების.

2004 წელს კვიპროსელი თურქების 65%-მა მხარი დაუჭირა გაეროს მიერ შემოთავაზებული გაერთიანების „ანანის გეგმას“. პარადოქსია, მაგრამ ამ კენჭისყრამ კვიპროსელ ბერძნებს ევროკავშირში გაწევრიანების გზა გაუხსნა. კვიპროსელი ბერძნები სამართლებრივად ეწინააღმდეგებიან ისეთ შუალედურ ზომებს, რამაც მწვანე ზონის მიღმა თურქული დე ფაქტო რეჟიმის განმტკიცებას შეიძლება შეუწყოს ხელი. კვიპროსელი თურქები კი აცხადებენ, რომ მათ აქვთ უფლება იცხოვრონ უფრო სრულფასოვნად ახლავე, ვიდრე ელოდონ საბოლოო შეთანხმების მიღწევას. ეს არგუმენტი უფრო მძაფრად ჟღერს 2017 წლიდან, როდესაც ბოლო განახლებული სამშვიდობო გეგმა უარყოფილი იქნა.

ჩრდილოეთ კვიპროსი უფრო გახსნილია დანარჩენი მსოფლიოსთვის ვიდრე აფხაზეთი ან დნესტრისპირეთი. იქ ჩადის ათასობით ტურისტი ყოველ წელს. ამ მდგომარეობას ხშირად უწოდებენ „ტაივანიზაციას“, კვიპროსის ბერძნული მხარის მიმართ უარყოფითი და თურქული მხარის მიმართ დადებითი ასოციაციებით.

კონტექსტი

1960 წელს ბრიტანეთისგან დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ კვიპროსის ერთიანმა სახელმწიფომ სულ რამდენიმე წელი იარსება. ეს იყო კომპრომისის შედეგი, ბერძენ უმრავლესობას (78% მოსახლეობის) და კვიპროსელ თურქებს შორის (მოსახლეობის 18%). პოლიტიკური ერთობა და კომპრომისი დაირღვა 1963 წელს, რასაც 10 წლიანი ძალადობა და დაპირისპირება მოჰყვა. 1974 წელს სრულმასშტაბიანი საომარი მოქმედებები დაიწყო. ათენში ძალაუფლების მფლობელმა სამხედრო ხუნტამ კვიპროსის და საბერძნეთის კავშირების გაძლიერების მომხრე რეჟიმი დაამყარა კუნძულზე. 20 ივლისს თურქეთი შეიჭრა კუნძულზე, როგორც კვიპროსელი თურქების მფარველი ძალა. 14 აგვისტოს თურქების მეორე და კიდევ უფრო სასტიკი თავდასხმა მოხდა. 3 დღეში თურქებმა ათეულ ათასობით ბერძენი გამოაძევეს საკუთარი სახლებიდან და კუნძულის 36% დაიკავეს. მათ შორის ისეთი ადგილებიც, სადაც მხოლოდ კვიპროსელი ბერძნები ცხოვრობდნენ. ათასობით კვიპროსელი ბერძენი დაიღუპა ომში და კუნძული მოსახლეობის თითქმის ნახევარი დევნილად იქცა. 160 000 კვიპროსელმა ბერძენმა დაკარგა საცხოვრისი, თუმცა არა მხოლოდ მათ, კვიპროსელი თურქების უმეტესობამაც დაკარგა სახლი და ისინი ომის შედეგად მიტოვებულ კვიპროსელი ბერძნების სახლებში შესახლდნენ. საკუთრებასთან დაკავშირებული დავები კვლავაც საკმაოდ მტკიცენეულია. ჩრდილოეთ კვიპროსში კვიპროსელი თურქების კერძო მფლობელობაში არსებული მიწების ¾ სამართლებრივად კვიპროსელი ბერძნების საკუთრებაა და სამხრეთ კვიპროსში მდებარე მიწების 1/8 ოფიციალურად კვლავაც კვიპროსელი თურქების საკუთრებაა.

ომის შემდეგ კვიპროსელი ბერძნები აღმოჩნდნენ კვიპროსის რესპუბლიკის მეურვეობის ქვეშ, ხოლო კვიპროსელი თურქები არაღიარებულ სახელმწიფოში. 35 000 თურქი ჯარისკაცი რჩებოდა კუნძულზე გაეროს რეზოლუციების და საერთაშორისო წინააღმდეგობის მიუხედავად. გაეროს წარმომადგენლები ცდილობდნენ შეემუშავებინათ ფორმულა, რომელიც

საბოლოოდ 1992 წელს გაეროს უშიშროების საბჭომ ასე ჩამოაყალიბა: „კვიპროსის სახელმწიფო არის სუვერენული საერთაშორისო ურთიერთობების სუბიექტი, ერთიანი მოქალაქეობით, რომლის დამოუკიდებლობა, ტერიტორიული მთლიანობა ხელშეუხებელია და რომელიც შედგება ორი პოლიტიკურად თანასწორი თემისგან“.

1974 წელს კვიპროსელი თურქების ლიდერებმა თავიანთ სამშობლოს უწოდეს კვიპროსის თურქული ფედერაციული რესპუბლიკა, იმის აღსანიშნად, რომ ეს იყო ფედერაციის შემადგენელი ნაწილი. 1983 წელს კვიპროსელი თურქების ლიდერმა რაუფ დენკაშმა ჩრდილოეთ კვიპროსის თურქული რესპუბლიკის დამოუკიდებლობა გამოაცხადა. თურქეთმა აღიარა მისი დამოუკიდებლობა, თუმცა გაერომ არ ცნო ეს რესპუბლიკა. მას კიდევ უფრო მეტი წინააღმდეგობა შეხვდა ვიდრე დნესტრისპირეთს ან აფხაზეთს, რადგან ისინი საბჭოთა ავტონომიურ ერთეულებს მაინც წარმოადგენდნენ, ხოლო კვიპროსზე საზღვრები ომით მოინიშნა. საერთაშორისო კონსესუსი შედგა, რომ ჩრდილოეთ კვიპროსის რესპუბლიკის აღიარება დაპყრობებისთვის ლეგიტიმაციის მიმნიჭებელი გახდებოდა.

აგრესიული რიტორიკის მიუხედავად, 2000-იანი წლებიდან კვიპროსის კონფლიქტი უკეთესი მიმართულებით წარიმართა. ყველაზე პოზიტიური მოვლენა 2003 წელს მოხდა, როდესაც მწვანე ზონა ამოქმედდა, რამაც შესაძლებლობა მისცა ორ მხარეს მაცხოვრებლებს გადაეკვეთათ გამყოფი ხაზი. ახლა ამ ხაზის გავლა რამდენიმე წუთშია მოსახერხებელი. კვიპროსელებს შეუძლიათ 1974 წლის ომის შემდეგ დაკარგული თავიანთი სახლი მოინახულონ. მიუხედავად იმისა, რომ მხარეებს შორის იზრდება კულტურული განსხვავებები, მხოლოდ უფროსი თაობის წარმომადგენლებს შეუძლიათ ერთმანეთის ენაზე საუბარი, ამ ორი თემის წევრები მაინც თავისუფლად ახერხებენ კომუნიკაციას. ორივე მხარის წარმომადგენელი უამრავი ბიზნესმენი, მეცნიერი, ხელოვანი მუშაობს ერთად. ისინი ემხრობიან შეთანხმებას და გაერთიანებას. ამის მიუხედავად გადასაწყვეტი რჩება ძირეული საკითხები. კვიპროსელი თურქები კვლავ აცხადებენ, რომ ისინი 1960-იანი წლებიდან ბერძნების მხრიდან ჩაგვრის მსხვერპლი არიან და მოითხოვენ ფართო ავტონომიას დისკრიმინაციისგან თავდასაცავად. ისინი იშველიებენ 2004 წლის რეფერენდუმს იმის დასადასტურებლად, რომ მზად არიან ასეთი პირობებით გაერთიანებისთვის. კვიპროსელი ბერძნებისთვის უმნიშვნელოვანესი ფაქტია 160 000 ბერძნის გამოსახლება თურქული დაპყრობის შედეგად. ისინი მიუთითებენ გაეროს რეზოლუციებზე იმის დასამტკიცებლად, რომ ჩრდილოეთი საოკუპაციო რეჟიმს დაკავებული აქვს. კვიპროსელი ბერძნების პოლიტიკა მოქმედებს ძალიან მკაცრ ჩარჩოებში. ისინი ურთიერთობენ მეორე მხარესთან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საკითხი შეეხება კონფლიქტის მოგვარებას და კუნძულის გაერთიანებას.

ჩრდილოეთ კვიპროსი დღეს

ჩრდილოეთ კვიპროსის რესპუბლიკის ოფიციალური წარმომადგენლები ისეთივე გამალებით არ მოითხოვენ აღიარებას, როგორც მაგალითად, აფხაზეთში. 2003 წელს მწვანე ზონის გახსნამ გააფართოვა ხალხს შორის კომუნიკაცია და ბიზნეს ურთიერთობები. კვიპროსელი თურქები ევროკავშირის პასპორტებით გადაადგილდებიან, თუმცაღა ინსტიტიტუციური თანამშრომლობის მაგალითები საკმაოდ ცოტაა, რადგან კვიპროსელი ბერძნები ფაქტობრივად არცერთ ჩრდილოეთ კვიპროსული ინსტიტიტუციის ლეგიტიმურობას არ ცნობენ. გამონაკლისია მხოლოდ ის სტრუქტურები, რომლებიც 1960 წლის კონსტიტუციის მიღების დროიდან მოქმედებს. კვიპროსელი თურქების სკოლები ლეგიტიმურად მიიჩნევა, მაგრამ მათი უმაღლესი სასწავლებლები არა, რადგან ისინი არ არსებობდნენ კონსტიტუციის მიღების პერიოდში.

კვიპროსელი ბერძნების და თურქების სავაჭრო პალატები მჭიდროდ თანამშრომლობენ მწვანე ზონის გავლით ვაჭრობის განსავითარებლად. როდესაც 2011 წელს დიდი აფეთქების შედეგად კუნძულის სამხრეთ ნაწილში ელექტროენერჯის მიწოდება შეწყდა, ხელისუფლებამ უარი განაცხადა ჩრდილოეთის დე ფაქტო მთავრობისგან მიეღო ელექტროენერჯია. ამ საკითხში შუამავლებად ჩაერთვნენ სავაჭრო პალატები, რომლებიც თავიანთი ხელისუფლებისგან ყიდულობდნენ და მეორე მხრივ ყიდდნენ ელექტროენერჯიას. ასე რომ, სტატუსის თემაზე გვერდის ავლა მარტივად მოხერხდა.

ჩრდილოეთ კვიპროსი იღებს ათასობით ტურისტს ყოველწლიურად. ზოგიერთი ევროპელი აგარაკსაც კი ფლობს ჩრდილოეთ ნაწილში. სერიოზული აღმავლობა დასტურდება უმაღლესი განათლების სექტორშიც. აქ ათასობით უცხოელი სტუდენტი სწავლობს. განათლების ხარისხი განსხვავებულია უნივერსიტეტებში, მაგრამ აღიარებულია რამდენიმე უნივერსიტეტი, მათ შორის აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვის უნივერსიტეტი ფამაგუსტაში. ამ უკანასკნელმა მოიპოვა კარგი აკადემიური რეპუტაცია და ჰყავს 20 000 სტუდენტი მსოფლიოს 100 ქვეყნიდან.

კვიპროსელი თურქები გლობალური ეკონომიკური ბაზრის მონაწილეები არიან თურქეთის გავლით, თუმცა უფრო მეტად, როგორც მომხმარებლები, ვიდრე მწარმოებლები. მხოლოდ რამდენიმე საერთაშორისო კომპანიისთვის არის თურქეთთან ურთიერთობა იმდენად მნიშვნელოვანი, რომ დაამყაროს პირდაპირი ეკონომიკური კავშირები ჩრდილოეთ კვიპროსთან და დაკარგოს ბიზნეს კავშირები სამხრეთ კვიპროსთან. მაგალითად, ბრიტანულმა HSBC ბანკმა გახსნა ფილიალი ჩრდილოეთ კვიპროსში და დათანხმდა სამართლებრივი დავების და სამხრეთიდან წამოსული რეპუტაციული ზიანის მიღებას ამ გადაწყვეტილების სანაცვლოდ.

თურქეთი ბევრად აქტიური მფარველია ჩრდილოეთ კვიპროსისთვის, ვიდრე რუსეთი მსგავსი დე ფაქტო ტერიტორიებისთვის. თურქეთი არ ცნობს კვიპროსის რესპუბლიკას ჩრდილოეთ კვიპროსის მიმართ სოლიდარობის ნიშნად. წლების განმავლობაში კვიპროსელი თურქებისთვის თურქეთი მსოფლიოში ერთადერთი გასასვლელი იყო. თურქული დაფინანსებით ფუნქციონირებდა სახელისუფლებო უწყებები და ვალუტად თურქულ ლირას იყენებდნენ. ჩრდილოეთ კვიპროსული უნივერსიტეტები იყვნენ თურქეთის განათლების სისტემის ნაწილი.

2003 წელს მწვანე ზონის გახსნის და მსოფლიოსთან ახალი დამაკავშირებელი გზის მიღების შემდეგაც კი შენარჩუნდა კუნძულზე თურქეთის ძლიერი გავლენა. 2018 წელს ჩრდილოეთ კვიპროსის ბიუჯეტის დაახლოებით 2/3 თურქეთმა დააფინანსა. მიუხედავად ამისა, აფხაზეთის და დნესტრისპირეთის მსგავსად, მფარველ ქვეყანასთან ურთიერთობა ყოველთვის ერთნაირი არ არის. ბევრი ადგილობრივი მიიჩნევს, რომ ჩრდილოეთ კვიპროსის მმართველი ელიტა იყენებს თურქეთის სახელმწიფოს პოლიტიკურ ამბიციებს ფინანსური სარგებლის მისაღებად. კვიპროსელი თურქების სეკულარულ ხედვასა და თურქეთის მმართველ სამართლიანობისა და განვითარების პარტიის ისლამისტურ პოლიტიკას შორისაც არ არის თანხვედრა. ჩრდილოეთ კვიპროსში მეჩეთების მშენებლობის პროგრამის ამოქმედება მანიშნებელია იმისა, რომ დამაბალანსებელი ძალის არარსებობის პირობებში თურქეთის გავლენა კვლავ მზარდია.

ევროპის გავლენის ფარგლები

ჩრდილოეთ კვიპროსს საკმაოდ უცნაური სტატუსი აქვს ევროკავშირთან მიმართებაში. მიუხედავად იმისა, რომ ის თურქეთს დე-ფაქტო უკავშირდება, სამართლებრივად ევროკავშირის ნაწილია. ევროკავშირი ჩრდილოეთ კვიპროსს მიიჩნევს კვიპროსის რესპუბლიკის ნაწილად, სადაც ხელისუფლება ვერ ახორციელებს ეფექტურ კონტროლს. ამიტომაც კუნძულის გაერთიანებამდე, აქ ევროკავშირის სამართლის მოქმედება შეჩერებულია.

კვიპროსელი თურქების ინსტიტუციები არ მიიჩნევა ევროკავშირის ოფიციალურ პარტნიორად. მიუხედავად ამისა, ჩრდილოეთ კვიპროსის მაცხოვრებლებს 2004 წლიდან აქვთ ევროკავშირის მოქალაქეობა. სულ მცირე 100 ათასმა აიღო იქ კვიპროსის რესპუბლიკის პასპორტი. აღნიშნული ფაქტი იქ არ ითვლება ტაბუირებულ მოქმედებად, ისე როგორც ეს აფხაზეთშია. კვიპროსის რესპუბლიკის მოქალაქეობის მიღების შესაძლებლობა არ ეძლევათ 1974 წლის შემდეგ კუნძულზე დასახლებულ თურქებს და არც მათ, ვისი ერთი მშობელიც კუნძულიდან, ხოლო მეორე თურქეთიდანაა.

2004 წელს ევროკავშირის უფრო დიდი ამბიციები ჰქონდა ჩრდილოეთ კვიპროსთან მიმართებით და ევროპის ეკონომიკურ სივრცეში მისი ინტეგრაციისთვის სამი ინიციატივა წარმოადგინა: პირდაპირი ვაჭრობის, ფინანსური დახმარების და მწვანე ზონის ამოქმედების. ამათგან პირველი ორი ამოქმედდა 2004 წლის 26 აპრილს ანანის გეგმასთან დაკავშირებული რეფერენდუმიდან 2 დღის შემდეგ და კვიპროსის ევროკავშირში გაწევრიანებამდე 2 დღით ადრე. ევროკავშირი აცხადებდა, რომ კვიპროსელი თურქების მიერ ევროკავშირთან მათი მომავლის დაკავშირების სურვილის გამოხატვის საპასუხოდ, ევროკავშირი წყვეტდა ჩრდილოეთ კვიპროსის იზოლაციას და მიზნად ისახავდა კუნძულის თურქული საზოგადოების ეკონომიკური განვითარების მემკვიდრეობით კვიპროსის გაერთიანების ხელშეწყობას.

პირდაპირი ვაჭრობის შეთანხმებით განისაზღვრა პირობები შეღავათიანი რეჟიმისთვის, რომ კვიპროსელი თურქების პროდუქციას შეძლებოდა ევროკავშირის საბაჟო ტერიტორიაზე შესვლა, ჩრდილოეთ კვიპროსიდან ფამაგუსტადან, მაგრამ ეს შეთანხმება კვიპროსელმა ბერძნებმა მიიჩნიეს ჩრდილოეთ კვიპროსის აღიარებად და დაბლოკეს აღნიშნული წინადადება. მათი აზრით, ასეთი შეთანხმების შემთხვევაში შეიქმნებოდა „ხმელთაშუა ზღვის ტაივანი“. 2006 წელს ევროკავშირმა აამოქმედა ფინანსური დახმარების შეთანხმებაც, მაგრამ მასაც პირდაპირი სავაჭრო შეთანხმების მსგავსად, კვიპროსის რესპუბლიკის არაერთი პროტესტი მოჰყვა. ფინანსურ დახმარებას 5 მიზანი ჰქონდა. ყველაზე დიდი ნაწილი ინფრასტრუქტურის მშენებლობისთვის და აღდგენისთვის იყო გათვალისწინებული. მეორე პროგრამა სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებას შეეხებოდა, მესამე - სამშვიდობო პროცესებს, ნდობის აღდგენას, ომის დროს დაკარგული პირების ძებნას, მეოთხე - აფინანსებდა ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო კამპანიას, ხოლო მეხუთე კი, განკუთვნილი იყო ევროპული კანონმდებლობის ასამოქმედებლად ჩრდილოეთ კვიპროსის ევროკავშირში შესვლისთვის მოსამზადებლად.

მწვანე ზონის ამოქმედების ერთ-ერთი მიზანს წარმოადგენდა მხარეებს შორის ვაჭრობის დაწყება. მანამდე ჩრდილოეთ კვიპროსი იძულებული იყო თურქეთის გავლით ევაჭრა. მწვანე ზონის ამოქმედებამ ისე ვერ იშუშავა, როგორც ჩაფიქრებული იყო. მას ძირითადად იყენებენ ინდივიდუალური პირები. ამ ზონის გავლით გაცილებით დიდი ნაკადი მოძრაობს ჩრდილოეთიდან სამხრეთით, ვიდრე პირიქით. ჩრდილოეთ კვიპროსელები ყიდულობენ სამხრეთში იმ პროდუქტებს და ნივთებს, რაც მათ ტერიტორიაზე არ არის ხელმისაწვდომი. თუმცა ვაჭრობა შეზღუდული რჩება, რადგან სამხრეთმა აკრძალა ჩრდილოეთ კვიპროსის სატვირთო მანქანების მოძრაობა, მათი მართვის მოწმობების და დაზღვევის აღიარებასთან დაკავშირებული მიზეზებით.

მიუხედავად ასეთი დაბრკოლებებისა, ბრიუსელი რჩება ანგარიშგასაწევ მალად ჩრდილოეთ კვიპროსში. ფინანსური დახმარების პროგრამის ფარგლებში 2006-2016 წლებში ევროკავშირმა ჩრდილოეთ კვიპროსში 449 მილიონი ევრო დახარჯა, თუმცა ეს თანხებიც პოლიტიკური მიზანშეწონილობით, კვიპროსელი ბერძნების უკმაყოფილებების გათვალისწინებით იხარჯება. ეს უზღუდავს ევროკავშირის კვიპროსელ თურქებთან პირდაპირი თანამშრომლობის დამყარების შესაძლებლობას. 2017 წლის სამშვიდობო მოლაპარაკებების ჩაშლის შემდეგ კვლავ გადაიდო

ჩრდილოეთ თურქეთში ევროპული კანონმდებლობის ამოქმედება. ასეთი შეფერხებები აზიანებს ამჟამად მიმდინარე პროექტებსაც. ხშირმა არჩევნებმა და დე ფაქტო მთავრობაში ცვლილებებმა, კორუფციის მიმართ მათმა მოწყვლადობამ, კიდევ უფრო გაართულა ეს პროცესი; შეიქმნა ჩაკეტილი წრე, სადაც არსებული შესაძლებლობების ბოლომდე გამოყენებაც ვერ ხერხდება და ახალი შესაძლებლობების შექმნაც შეუძლებელია.

შემდეგი ნაბიჯები

ჩრდილოეთ კვიპროსი ორ შეუთავსებელ ინტეგრაციის პროექტს შორის იხლიჩება. ერთ მხარეს არის თურქეთი, რომელიც აფინანსებს არმიას, სხვა სახელმწიფო უწყებებს, რომელზეც მეტწილად დამოკიდებულია ადგილობრივი ბიუჯეტის შევსება, მეორე მხრივ, ევროკავშირი, თავისი მრავალმხრივი პოლიტიკური საშუალებებით, მათ შორის კვიპროსთან დაკავშირებული სამი შეთანხმებით, რომელთა სრული შესრულება მის გავლენას ძალიან გაზრდის. ევროკავშირის მიმართ ენთუზიაზმი გარკვეულწილად შემცირდა ჩრდილოეთ კვიპროსში 2004 წლის რეფერენდუმის შემდეგ. ამის მიუხედავად კვიპროსელი თურქების უმრავლესობა კვლავ პროევროპული განწყობისაა. 2015 წლის ევრობარომეტრის გამოკითხვის თანახმად, კვიპროსელი თურქების 57%-ს დადებითი დამოკიდებულება აქვს ევროკავშირის მიმართ და მხოლოდ 8% არის უარყოფითად განწყობილი. პარალელურად კვიპროსელი ბერძნები ხშირად ბლოკავენ ევროკავშირის ჩართულობას ჩრდილოეთ კვიპროსში თუნდაც, ურთიერთსასარგებლო ამოცანების გადასაჭრელად, როგორც ეს მოხდა მაგალითად, ადგილობრივი ყველის საკითხის მოგვარების დროს. მოცემული ჩიხი კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს ძველ, გაეროს მიერ შემუშავებულ მიდგომას ორი თემის საერთო ფედერაციის შექმნის შესახებ. ამის ნაცვლად 2014 წელს გაჟღერდა სხვა წინადადება, კუნძულის ორი დამოუკიდებელი რესპუბლიკის ევროკავშირში პარალელურად გაწევრიანების შესახებ. ეს მიდგომა დიდი უკან დახევა იქნება საერთაშორისო მედიატორების მრავალწლიანი მუშაობის შემდეგ, თუმცა ესეც კვიპროსის პრობლემის შესახებ დაგროვილი იმედგაცრუებების ერთგვარი ანარეკლია.

ნაკლებად წინაარმდეგობრივი გზა იქნება ევროკავშირის მიერ უშუალოდ დე ფაქტო ხელისუფლებასთან თანამშრომლობა და დამატებითი ფინანსური დახმარების გამოყოფა ჩრდილოეთ კვიპროსში ევროპული კანონმდებლობის ამოქმედებისთვის. ამ გზით მოხდება ევროპული რეალობის აშენება არაღიარებულ სახელმწიფოში. ევროპული კანონმდებლობის ფორმალური ამოქმედება ბოლო ნაბიჯი იქნება ამ გზაზე. მანამდე ჩრდილოეთ კვიპროსი იქნება ევროკავშირთან მჭიდროდ დაკავშირებული არაღიარებული სახელმწიფო. ეს მიდგომა გადალახავს კვიპროსელი ბერძნების დაწესებულ წითელ ხაზებს და მათაც აიძულებს დაფიქრდნენ ჩრდილოეთთან ურთიერთობის ახალ გზებზე. ასეთი მიდგომა რეალურ საგებელს მოუტანს ჩრდილოეთ კვიპროსის მოსახლეობას და კონფლიქტის მოგვარებაზეც დადებით ეფექტს მოახდენს. კუნძულის ორი ნაწილის ფაქტობრივად დაახლოების ხელშეწყობა კვიპროსელი ბერძნების მთავარი წუხილის, ჩრდილოეთ კვიპროსის თურქეთის შემადგენლობაში კიდევ უფრო ღრმა ინტეგრაციის, თავიდან აცილების შესაძლებლობასაც ქმნის.

დასკვნა

ომით აოხრებული ტერიტორიები ევროპაში ათწლეულების განმავლობაში დე ფაქტო სახელმწიფოების ფორმით განაგრძობს არსებობას. მათი სადავო სტატუსი ყველა მხარისთვის არასასურველ ვითარებას ქმნის. ამ ტერიტორიის მაცხოვრებლები მოკლებულნი არიან

ადიარებული სახელმწიფოების მოქალაქეებისთვის ხელმისაწვდომ ბევრ შესაძლებლობას. ეს კონფლიქტები მტკივნეულია მეორე მხარეს მცხოვრები ათასეულობით ადამიანისთვისაც, განსაკუთრებით დევნილებისთვის. სტატუსის შესახებ დავა კონფლიქტს ახანგრძლივებს და ხელს უშლის მთლიანი რეგიონის განვითარებას. როგორც ზემოთ ითქვა, ეს კამათი გრძელდება რამდენიმე მიზეზის გამო. ცალკეულ შემთხვევაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს გეოპოლიტიკური დამაბულობა და სამხედრო ოკუპაცია, რაც მფარველი სახელმწიფოების (რუსეთი ან თურქეთი) მთავარი საზრუნავია. დე ფაქტო ქვეყნები თავის მხრივ ქმნიან თვითმმართველ ერთეულებს, მეტ-ნაკლები წარმატებით.

დროის მსვლელობა ასევე ახდენს ზეგავლენას პროცესზე. გაერთიანების რეალისტური პროექტები კიდევ უფრო რთული წარმოსადგენია, რაც უფრო და უფრო შორეული ისტორიის კუთვნილება ხდება წარსულის თანაცხოვრება. აფხაზეთი და დნესტრისპირეთი საქართველოს და მოლდოვას შემადგენლობაში ბოლოს 25 წელზე მეტი ხნის წინ შედიოდნენ, მაშინ, როდესაც ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირი არსებობდა. თურქ და ბერძენ კვიპროსელებს აკავშირებთ ერთიანი სახელმწიფოებრიობის მხოლოდ 3 წლიანი პერიოდი და ორივე მხარე კონფლიქტის გადაჭრის გეგმის მიმართ უარყოფითად არის განწყობილი. თითოეულ შემთხვევაში მშობელი სახელმწიფო ეწინააღმდეგება გაერთიანებას, რადგან ეს გულისხმობს ძალაუფლების დათმობას ცენტრის მიერ და ამ გაერთიანების ფასი მათთვის მეტისმეტად მაღალია. ასე მოხდა საქართველოში 1997-1998 წლებში, მოლდოვაში 2003 წელს და კვიპროსში 2004 წელს. ეს ისტორიები ხაზს უსვამს ამ კონფლიქტების მოუგვარებლობის მთავარ მიზეზს: ამ სამ სახელმწიფოში არ იციან, როგორი ქვეყანა უნდათ რომ იყვნენ.

ყველაზე იმედისმომცემი შემთხვევა მოლდოვაა. აქ გეოგრაფიული და ეკონომიკური მიზეზები ხელს უწყობს თანამშრომლობას მხარეებს შორის. თუმცა აქაც საკითხის საბოლოო გადაწყვეტამდე ჯერ კიდევ დიდი გზაა. სხვა შემთხვევებში კიდევ უფრო არაჯანსაღი ვითარებაა. მათ არც საერთაშორისო აღიარება ელით, არც გაერთიანების შესაძლებლობაა რეალური. ამის ნაცვლად, აფხაზეთში და კვიპროსში მფარველ ქვეყნებთან: რუსეთთან და თურქეთთან დე ფაქტო ინტეგრაციის პროცესი მიმდინარეობს. თუ ეს პროცესი მრავალი ადგილობრივის სურვილის საწინააღმდეგოდ გაგრძელდება, კონფლიქტის მოგვარება კიდევ უფრო გართულდება. ეს ნიშნავს, რომ საერთაშორისო საზოგადოებას ახლებური მიდგომის შემუშავება სჭირდება, რათა დე ფაქტო ხელისუფლებებთან თანამშრომლობის უარყოფითი პრაქტიკა გამოსწორდეს და მომავლისთვის შეიქმნას სხვა შესაძლებლობები.

არადიარებული ტერიტორიის მოსახლეობა მუდმივ გაურკვევლობაში ცხოვრობს. მათ არ შეუძლიათ უახლოესი მომავლის დაგეგმვაც კი. სახელმწიფოებრიობისკენ სწრაფვა ამ კონტექსტში უნდა გავიგოთ როგორც ამ გაურკვევლობის შემცირების სურვილი. მათ სჭირდებათ გარკვეულ წესებზე დამყარებული მმართველობის სისტემა. ყოველდღიური ცხოვრება უნდა გაგრძელდეს და ამისთვის საჭიროა გარკვეული სახელმწიფოებრიობა, მიუხედავად იმისა, ის აღიარებული იქნება თუ არა. ადამიანებს სჭირდებათ ისეთი აუცილებელი და ჩვეულებრივი მომსახურებები როგორცაა: განათლება, ჯანდაცვა, პოლიცია, საგზაო წესები, ნაგვის გატანა. ამ ამბოხებული ტერიტორიების თავდაპირველი არჩევანი ყოველთვის დამოუკიდებლობის გამოცხადება არ ყოფილა. ეს შემთხვევები, რა თქმა უნდა, განსხვავებულია. აფხაზეთში დამოუკიდებლობის და აღიარების რიტორიკა ყველაზე სერიოზულია. კვიპროსში და დნესტრისპირეთში ეს აღარ არის მთავარი სასაუბრო თემა და აქცენტი სამომავლო ურთიერთობების მოწესრიგებაზე კეთდება. გეოგრაფიაც მნიშვნელოვანი ფაქტორია. მაგალითად, რიგითი კვიპროსელი თურქისთვის და დნესტრისპირელისთვის მათი მფარველი სახელმწიფო საკმაოდ შორსაა და ევროპულ ბაზრებთან სიახლოვე მათთვის წყალობაა. ასევე მნიშვნელოვანია პოლიტიკური ნებაც. დნესტრისპირეთი ყველაზე მეტად

სარგებლობს მის ხელთარსებული შესაძლებლობებით, რადგან იქაურმა ბიზნესმენებმა მოახერხეს სტატუსის საკითხზე დავისთვის გვერდის ავლით დაეწყოთ საქმიანობა. ჩრდილოთ კვიპროსელებმა და დნესტრისპირელებმა ისარგებლეს და აიღეს მეორე მხარის მიერ შემოთავაზებული პასპორტები. ამის საპირისპიროდ აფხაზეთის ეკონომიკურმა იზოლაციამ 90-იანებში თბილისის მიერ (რომელსაც გარკვეული პერიოდის განმავლობაში მოსკოვიც მხარს უჭერდა), გაცილებით გაართულა აფხაზეთისა და ქართველებისთვის იმავე მიმართულებით წასვლა.

უფრო დინამიკური საერთაშორისო მოქმედება

სტატუსთან დაკავშირებული დაპირისპირებები და დე ფაქტო სახელმწიფოების ათწლეულების განმავლობაში გახანგძლივებული არსებობა ევროკავშირის დილემის წინაშე აყენებს. უდავოა, რომ საერთაშორისო საზოგადოებას სჭირდება ძლიერი ორმხრივი ურთიერთობები აღიარებულ ქვეყნებთან, არაერთ საკითხზე. მოლდოვასთან და საქართველოსთან ბრიუსელის ურთიერთობა გაფართოვდა ბოლო წლების განმავლობაში ასოცირების და თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებებით. თანამშრომლობა ეხება კონფლიქტების მოგვარების სფეროსაც, მაგრამ აქ ინტერესები ყოველთვის ერთმანეთს არ ემთხვევა. კონფლიქტის მედიატორებმა ყველა მხარისთვის სამართლიანი და მისაღები გადაწყვეტილება უნდა გამოიხონ. მათ შეუძლიათ შეხედონ კონფლიქტებს უფრო ფართო, რეგიონალური პერსპექტივით. ევროკავშირმა თავის სამეზობლო პოლიტიკის მიმოხილვაში აღნიშნა, რომ კონფლიქტების გაჭიანურება აფერხებს რეგიონის განვითარებას. ის თავისი პოლიტიკის ცენტრალურ საკითხად მიიჩნევს არაღიარებას, თუმცა არაღიარებულ სუბიექტთანაც შესაძლებელია სხვადასხვა თემაზე აქტიური ურთიერთობა. მაგალითად, ევროკავშირი აქტიურად ეხმარება სომალილენდს, მათ შორის არჩევნების ჩატარების მიმართულებით, ტაივანი მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრია და ევროკავშირი მისი რიგით მეოთხე სავაჭრო პარტნიორია. ევროკავშირის ზოგიერთი სახელმწიფო, მაგალითად, საბერძნეთი, რომელიც არ აღიარებს კოსოვოს, მასთან აქტიურ პოლიტიკურ დიალოგს აგრძელებს. ეს შემთხვევები ადასტურებს არაღიარებული ტერიტორიების მიმართ განსხვავებული მიდგომების და თითოეული მათგანის სპეციფიკის გათვალისწინების საჭიროებას.

ჩართულობის შემთხვევაში, მშობელი ქვეყნის პოლიტიკოსებს, როგორც წესი, ორი რამ აღელვებთ. პირველი ეს არის დე ფაქტო სახელმწიფოების ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარება, რაც ზოგადად დე ფაქტო სახელმწიფოს მდგრადობას უწყობს ხელს. ამ შიშის გაქარწყლება შესაძლებელია დეტალური და პრაგმატული განმარტებებით იმის თაობაზე, რომ საერთაშორისო საზოგადოება არ არის დაინტერესებული გააძლიეროს უშიშროების სტრუქტურები დე ფაქტო სახელმწიფოებში ისე, რომ მათი შესაძლებლობების მშობელი ქვეყნის წინააღმდეგ გამოყენების რისკები შექმნას; თუმცა აუხსნელია რატომ უნდა ვიყოთ ჯანდაცვის ან ბიზნეს სექტორის განვითარების წინააღმდეგი. უკეთესი განათლების, ჯანდაცვის, ზოგადად უკეთ მოწესრიგებული საზოგადოების ყოფნა კონფლიქტის ყველა მხარისთვის მისაღები უნდა იყოს. თუ ცხოვრების ამ სფეროების სტანდარტები დაახლოვდება ევროკავშირთან და არა რუსეთთან ან თურქეთთან, ეს მეტ შესაძლებლობას მისცემს მომავალში საქართველოს, მოლდოვას და კვიპროსს კონფლიქტის მეორე მხარესთან კავშირის დასამყარებლად.

ასეთი შესაძლებლობების გაძლიერების შემთხვევა შეიძლება იყოს უმაღლესი განათლება. ჯერჯერობით პოლიტიკური გარემოებები მხოლოდ ცალკეულ სტუდენტებთან მუშაობის შესაძლებლობას იძლევა და არა უნივერსიტეტებთან. ის ფაქტი, რომ სოხუმის და ტირასპოლის

უნივერსიტეტების დასახელებაში სიტყვა „სახელმწიფო“ ფიგურირებს და ეს საგანმანათლებლო დაწესებულებები დე ფაქტო მთავრობებისგან მხარდაჭრას იღებენ, ბევრ რამეს ართულებს. ამასთან, ახალგაზრდების განათლების პროცესში ჩართულობა სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერებას ემსახურება და რთულად შეიძლება ჩაითვალოს ვინმესთვის სახიფათოდ. კომინიოვსა და ტირასპოლს შორის 2018 წელს მიღწეული შეთანხმება დნესტრისპირეთის დიპლომების აპოსტილით დამოწმების შესახებ, კარგი პრეცედენტია ამ მიმართულებით.

დე ფაქტო მთავრობების წარმომადგენლებთან ურთიერთობა კიდევ უფრო რთული პროცესია. ბევრი მშობელი ქვეყანა კატეგორიულად ეწინააღმდეგება მათთან თანამშრომლობას, რადგან ეს მიაჩნია არალეგიტიმური მმართველობის ლეგიტიმაციის გზად. ამიტომაც ევროკავშირის ან გაეროს მხარდაჭრის პროგრამები ძირითადად მიემართება სამოქალაქო საზოგადოებას, კულტურულ ორგანიზაციებს, ბიზნესმენებს და ფერმერებს. ასე ხდება დე ფაქტო მთავრობასთან ურთიერთობის თავიდან აცილება. ამის მიუხედავად, ამ პროცესში, მაინც აუცილებელია დე ფაქტო მთავრობებთან მოლაპარაკება, რომ შესაძლებელი გახდეს მათ ტერიტორიაზე ამა თუ იმ პროექტის განხორციელება.

ჩართულობის წესები

ამ შეუსაბამობების გათვალისწინებით, აზრს მოკლებული არაა არსებული პრაქტიკის გადახედვა და ახალი წესების შემუშავება. ყოველი ტერიტორია ძალიან განსხვავებულია. იმ შემთხვევაში, როცა დე ფაქტო ხელისუფლების შიდა სუვერენულობა ძლიერია და დაინტერესებულია საერთაშორისო თანამშრომლობით, ლოგიკური იქნება მათთან თანამშრომლობა. ჩართულობით გარე სამყარო მეტ ბერკეტს მიიღებს დე ფაქტო ტერიტორიებზე.

ჩართულობის ყველაზე ეფექტური გზა არის ადგილზე წარმომადგენლობის არსებობა. შორიდან რთულია ხელისუფლებაზე ზეგავლენის მოხდენა და რეკომენდაციების გაცემა. ამიტომაც ევროკავშირმა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებმა რაიმე ფორმით უნდა დააფუძნონ თავიანთი ოფისები არაღიარებულ ტერიტორიებზე. მსგავსი ნაბიჯები არაპოპულარულია და აღიქმება, როგორც სეპარატიზმის მხარდაჭერა. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ჩართულობა არ იქნება უპირობო. ეს ხდება არაღიარების ჩარჩოში და ევროკავშირის მეტ ბერკეტს შესძენს არაღიარებულ ტერიტორიაზე სამოქმედოდ. ამავდროულად, ევროკავშირის ჩართულობა გულისხმობს ორმხრივ თანამშრომლობას. ესე იგი, ევროკავშირის ადგილობრივ წარმომადგენლობას საშუალება ექნება მოსთხოვოს დე ფაქტო ხელისუფლებას თანამშრომლობა ისეთ საკითხებზე, როგორცაა: ტრეფიკინგის პრევენცია, ექვმიტანილების გადაცემა და უმცირესობათა უფლებების დაცვა, მაგალითად, აფხაზეთში, გალის რაიონში მაცხოვრებელი ქართველების.

შესაძლებლობების და პასუხისმგებლობის ამ კომბინაციის გამო, ზოგიერთმა დე ფაქტო სახელმწიფომ შესაძლოა უარი თქვას უფრო მეტი საერთაშორისო ჩართულობის შეთავაზებაზე. ასეთი ჩართულობის შეთავაზება შეტყობინებაა, რომ ამ ტერიტორიების მკვიდრთა გრძელვადიან გაურკვევლობაში დატოვება არც სამართლიანი და არც სასარგებლო არ არის, რომ ეს ჩართულობა ხელს არ უწყობს იმ კონფლიქტების მოგვარებას, რომლებიც ანადგურებს ათასობით ადამიანის ცხოვრებას.